

პოლიტიკა

აჭარის სტატუსი "მოდიდან" არ გადადის

"აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" კონსტიტუციურ კანონპროექტს იურიდიულ საკითხთა კომიტეტი გუშინ რამდენიმე საათის განმავლობაში იხილავდნენ.

A3

პოლიტიკა

ქართულ-ოსური კონფლიქტის არსი და პრაზიდენტის დაპირება

"გაყინული" ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირება, როგორც ჩანს, ქართულ პოლიტიკაში მნიშვნელობით პირველ პოზიციას იკავებს.

A3

სამართალი

მამალაძის ქონება დაყადაღებულია

ერაყში გამგზავრებამდე ბრიტანელი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით ქართული "კომანდო" ინტენსიურად ემზადება.



იური ლოლოჯის ფოტო

ქართულ-ამერიკული პროგრამის ფარგლებში გაწვრთნილი "კომანდოს" მთელი ბატალიონი გაემგზავრება შემოდგომაზე ერაყში. შესაძლოა, ზაფხულში სამშვიდობოები მე-16 სამთომსროლელი ბატალიონიდანაც გაემგზავრონ (მე-16 ბატალიონს უკვე ერაყში ჰყავს ასეული, რომელსაც "კომანდო" ჩაენაცვლება). ჯერჯერობით, საუბრის დონეზე რჩება და გაურკვეველია ქართველი ჯარისკაცების ავღანეთში გამგზავრების საკითხი.

გუშინ კრწანისის სასწავლო ცენტრში სამშვიდობო ოპერაციების სწავლების კურსდამთავრებულთა საჩვენებელი წვრთნები გაიმართა. მასში "კომანდოს" და მე-16 ბატალიონების რამდენიმე ასეული მონაწილეობდა. გათამაშდა დესანტი-

რების, პატრულირების, ჩეკპოინტის ოპერაციები. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი გივი იუკურიძე საჩვენებელი სწავლებით კმაყოფილი დარჩა.

ბაზრძელება A2 გვარძეზა

კონსეფცია საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ

ძვირფასო თანამოქალაქენო! თქვენს სამსჯავროზე საჯარო განხილვისთვის წარმოდგენილია ქართულ საზოგადოებაში საკმაოდ გახმაურებული "საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ კონცეფციის" საბოლოო ტექსტი. ზაზგასმით გვსურს მივაპყროთ თქვენი ყურადღება ორ პრინციპულ გარემოებას. წარმოდგენილი კონ-

ცეფცია დაწერილია მხოლოდ ექსპერტთა ჯგუფის მიერ და არანაირად არ არის შეთანხმებული და არც დაკავშირებული საქართველოს მთავრობასთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან. კონცეფციის შედარებით ადრეული ტექსტი, როგორც აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების ერთ-ერთი ვარიანტი, რამოდენიმე ხნის წინათ გადაეცა საქართველოს

მთავრობას განსახილველად. წარმოდგენილი ტექსტი არის ერთადერთი ვარიანტი, რომელსაც ოფიციალურად, საჯაროდ აქვეყნებს ავტორთა ჯგუფი. დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს ვთხოვთ, განხილვისას იხელმძღვანელონ მხოლოდ ქვემოთ წარმოდგენილი ტექსტით. საქართველოს ხელისუფლების მიერ შესაბამისი სურვილისა და შენიშვნების გამოთქმის

შემთხვევაში, კონცეფციის ავტორთა ჯგუფი მზად არის, გააგრძელოს მუშაობა კონფლიქტის მოწესრიგებისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი საკითხების დახვეწისა და დოკუმენტში ასახვის მიზნით.

პატივისცემით, სამუშაო ჯგუფის სახელით პაატა ზეარეშვილი

იხილეთ A5-A8 გვარძეზა

განაცხადებული რუსეთი და ქაყაოფილი საქართველო

აქა კვარტაძა სავს. კორ. სტაფაუფი

"ნატო-ს იენისის სამიტი ყველაზე შესაფერისი დრო და ადგილია იმისათვის, რომ ნატო-მ სერიოზულად განიხილოს საქართველოსა და აზერბაიჯანის მისწრაფება, შეუერთდნენ წრდილო ატლანტიკურ ალიანსს. ნატო-მ ნათლად განსაზღვრული სამოქმედო გეგმა უნდა შესთავაზოს ამ ორ ქვეყანას. პროგრამის მოთხოვნები ძალიან მაღალი უნდა იყოს, რათა უკვე ნატო-ს შემდგომი სამიტისთვის (2006 ან 2007 წელი) უკვე მოხერხდეს წევრობის სამოქმედო გეგმის დაწყება (MAP)," - ასეთ შეფასებას აკეთებდა რამდენიმე თვის წინ ერთ-ერთი ცნობილი ექსპერტი, "უოლ სტრიტ ჯორნალის" პოლიტიკური მიმომხილველი ვლადიმირ სოკორი. ექსპერტთა ვარაუდი, რომ ნატო-ს სტამბულის სამიტზე საქართველოს სასარგებლოდ გარკვეული პოლიტიკური განცხადებები გაკეთდებოდა, მთლიანად გამართლდა.

ბაზრძელება A4 გვარძეზა

ნატოს სამიტმა რუსი ექსპერტები გააღიჟიანა

რუსეთის მოდერნიზაციის ინსტიტუტის დირექტორი მიხეილ დელიაგინი მიიჩნევს, რომ ნატო-ს სამიტზე საქართველოს პრეზიდენტს მაღალი შეფასებები მისცეს.

რუსუდან ნიქარაძე სავს. კორ. მოსკოვი

- ნატოს სამიტმა სააკაშვილს გადამწყვეტი მოქმედებების ხელშეწყობაც აღუთქვა. საფიქრებელია, რომ სამხრეთ ოსეთში პირდაპირი შეჭრის საწაცლოდ, პრეზიდენტი სააკაშვილი ჯერ ოსებს ულტიმატუმს შესთავაზებს ცენტრალური ხელისუფლებისადმი მორჩილებაზე, წორმალური სამოქალაქო ხელისუფლების შექმნის მოთხოვნით, რომელსაც თბილისი გააკონტროლებს. - როგორ პოზიციას დაიკავებს რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა სამხრეთ ოსეთში საქართველოს გადამწყვეტი მოქმედებების დროს? - სააკაშვილის იმედები რუსეთის სახელმწიფო მმართველობის ხანგრძლივი პარალიჩითაა გამოწვეული, რაც კოზაკის დამანგრეველმა ადმინისტრაციულმა რეფორმამ გააღრმავა.

ბაზრძელება A4 გვარძეზა

კოგორის აგარაჟე მისულ საალსრულებო დეპარტამენტის თანამშრომლებს, ოჯახის წევრების ნაცვლად, წინააღმდეგობა ძალღმა გაუწია, რის გამოც დაყადალების პროცესი დროებით გაჩიანურდა.

A3

უცხოეთი

ეპროკომისიას ახალი პრაზიდენტი ჰყავს



პორტუგალიის პრემიერ-მინისტრმა ხოსე მანუელ დურაო ბაროსომ დაადსტურა, რომ იგი ეეროკომისიის პრეზიდენტი გახდება.

A4

აზიდეი		
	30/6	1/7
თბილისი	28 ☀	27 ☁
ქუთაისი	30 ☀	24 ☁
ბათუმი	29 ☁	19 ☁
სოხუმი	26 ☁	22 ☁
ფოთი	29 ☀	22 ☁
თელავი	27 ☀	25 ☁
ზუგდიდი	30 ☁	24 ☁
გორი	26 ☀	22 ☁
ახმეტა	27 ☀	25 ☁
ჰიათურა	29 ☀	24 ☁
ბაზრა	24 ☁	21 ☁
სამტრადი	31 ☀	24 ☁

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიხარათაბი	
აშშ დოლარი	1.9200
ევრო	2.3303
გირვანქა სტერლ.	3.4952
რუბლი	0.0661

"კომანდო" ერაყში მიმგზავრება



გივი იუკერიძე ემხრობა სამშვიდობოების გათანაბრებას საბრძოლო მოქმედებების მონაწილეობით.

პირველი გავრცელება

სამშვიდობო ოპერაციების კურსს ხელმძღვანელობდა თერთმეტი ინგლისელი ინსტრუქტორი ბრიტანეთის სამხედლო ძალებიდან და ბრიტანეთის საზღვაო ქვეითი კორპუსიდან. გუმინვე ჟურნალისტებს (გადაღებების აკრძალვით) დათვალერებინეს კრწანისის სასწავლო ცენტრში განთავსებული ამერიკული ბაზა, რომელიც 1 იანვრიდან ქართულ მხარეს გადაეცემა.

კარგა ხანია, რაც საზოგადოებაში დისკვა საკითხი ერყემი მყოფ ქართველ ჯარისკაცთათვის ვეტერანის სტატუსის მინიჭების შესახებ. ამას მოითხოვენ ჯარისკაცთა ოჯახის წევრები და ახლოლები, სამხედრო სპეციალისტები, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი. რაც მთავარია, ზუსტად იგივეა ქართველ ჯარისკაცთა შინაგანი განწყობაც, ჯარისკაცებისა, რომელთაც პროტესტის საფაროდ გამოხატვის უფლება არ გააჩნიათ... საინტერესოა, რას ფიქრობს ამ საკითხზე შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი გივი იუკურიძე, რომელსაც "24 საათში" რამდენიმე შეკითხვით მიმართა.

"შე მიმარწა, რომ ის პირადი შემადგენლობა, რომელიც მონაწილეობას იღებს ერაყის, გენგავით სამშვიდობო, გენგავით საბრძოლო დაარქვით, ოპერაციებში, უნდა გაუტოლდნენ საბრძოლო მოქმედებების მონაწილეებს".

ჩვენს კითხვაზე - რას გააკეთებს ამისთვის პირად-ად გენშტაბის უფროსი? - გივი იუკურიძე უპასუხა: **"პრინციპში, საკითხი ადგილი გადასწყვეტია. თუმცა, ამისთვის აუცილებელია ფინანსთა მინისტრის თანხმობა, ვინაიდან ყოველივე ეს ფინანსებს დაწევება... თავდაცვის სამინისტროს პოზიციაც დადებითია... მე ორივე ხელით მომხრე ვარ იმისა, რომ ჩვენმა ჯარისკაცებმა მიიღონ ის, რაც უნდა მიიღონ... თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ, საერთო ჯამში, მივიღებთ ვეტერანთა ძალიან დიდ რაოდენობას..."**

ვერიკო თევზაძე

"თელასი" სამთავრობო დანახაჯებას ელექტროენერგიის დაფარვაში არ მიანვდის

სამთავრობო დანესებულებებისათვის ელექტრო-მომარაგების აღდგენას "თელასი" მომხრებელი ელექტროენერგიის დავალიანების დაფარვამდე არ აპირებს. 1 მილიონი ლარის ოდენობის დავალიანების გამო, კანცელარიას, პარლამენტს, ენერგეტიკის, იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროებს, ასევე სამთავრობო რეზიდენციებს, "თელასმა" ელექტროენერგიის მიწოდება ორმაბათს შეუწყვიტა. ერთადერთი ორგანიზაცია, რომელსაც გუმინვე ალუდა ელექტრომომარაგება, "საქტერადიოკოორპორაციაა". მისმა ხელმძღვანელობამ დავალიანების დაფარვის შესახებ "თელასთან" მოლაპარაკებები გამართა.

"თელასის" ხელმძღვანელების მიერ სამთავრობო დანესებულებებისათვის ელექტრომომარაგების შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებას წინ უსწრებდა საგადასახადო სამსახურების მიერ კომპანიის ანგარიშის დაყვანაღება.

"თელასის" ანგარიში საგადასახადო სამსახურმა 1 მილიონი ლარის ოდენობის კომიუჯეტო დავალიანების გამო დააყადალა. "თელასი" სი ამ დავალიანებას მხოლოდ საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანების გასტუმრების შემდეგ დაფარავს.

პრაიმ-ნიუსი

საკატრულო პოლიცია კომპლექტაბა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საგზაო პოლიციის ნაცვლად, საპატრულო პოლიციის დაკომპლექტება დაიწყო. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, ახალი დაზაყოფის შექმნა შს სამინისტროში მიმდინარე სტრუქტურული რეორგანიზაციის ფარგლებში განხორციელდება. მათივე ინფორმაციით, აღნიშნული სამსახურის ძირითადი ფუნქციადა განისაზღვრება, მობილური ოპერატიული ჯგუფების შემუშობით, საგზაო მაგისტრალეხსა და დასახლებულ პუნქტებში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა, დანაშაულის პროფილაქტიკა და მისი თავიდან აცილება.

თბილისში საპატრულო პოლიციელთა რაოდენობა განისაზღვრება 650 ერთეულით, ქუთაისში 70 ერთეულით, ბათუმში - 65, გორში - 35, ფოთში, ზუგდიდში, ქობულეთში და რუსთაველ 25-25, თელავში - 20, მარნეულსა და გარდაბანში - 17-17, წალენჯიხაში, ოზურგეთში, სამტრედიამი, ზესტაფონში, ბორჯომში, ლაგოდეხში, დედოფლისწყაროში, გურჯაანში, ახალციხეში და ხელვაჩაურში 11-11, ლანჩხუთში - 9 ერთეულით.

ამასთან, განსაზღვრულია შემდეგი ტრასების დაკომპლექტება, "ნითელი ხიდი" -თბილისის ტრასა დაკომპლექტდება საპატრულო სამსახურის 45 თანამშრომლით, ნეროვანი-რიკოთის გვირაბი - 70 ერთეულით, რიკოთის გვირაბი-სოფელი საჯავახო - 75 ერთეულით, სამტრედია-ჩოლოქი - 18-ით, სამტრედია-ზუგდიდი - ასევე, 18 ერთეულით, ნატახტარი-ყაზბეგი 24-ით, ხაშური-ვალე - 18-ით, თბილისი-ლაგოდეხი - 42-ით, თბილისი-მარნეული-გუგუთი და მარნეული-სადახლო - 35 ერთეულით.

24 საათი

როგორ ვიზოვით მილიონი

ლუკმა-პურის მოვნის სურვილს საქართველოს მოსახლეობა რომ ხშირად ტრეფიკინგის მსხვერპლად აქცევს, ცნობილია. მაგრამ, როგორც ჩანს, სამსახურის მძებნელები, თაღლითების მსხვერპლნი საქართველოშივე ხდებიან და, იმეათი გამონაკლისის გარდა, მათი დაცვის არანაირი მექანიზმი არ არსებობს. ასეთი გამონაკლისი კი ფინანსური პოლიციის მიერ გამოვლენილი უპრეცედენტო აფერაა.

ფინანსურმა პოლიციამ კომპანია "BP"-ს სახელით მოქმედი თაღლითი დააკავა, რომელიც მოქალაქეებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობაზე დასაქმებას პირდებოდა და თანხას სძალავდა.

ფინანსური პოლიციის განცხადებით, დანაშაულში მხილებულია 37 წლის მარინა ჩინალაძე, რომელიც ნე-ლინდანხეების განმავლობაში მთელი საქართველოს მასშტაბით ათასობით ადამიანს ატყუებდა. იგი მოსახლეობას მარინა ქავთარაძის სახელით ეცნობოდა და აცხადებდა, რომ " BP"-ში სოციოლოგიურ კვლევით ცენტრში მუშაობდა. ჩინალაძე მოსახლეობას ნათობსადენის მშენებლობაზე და "BP"-ს ავტომობილებზე მძღოლებად, ხოლო მუშაობის მსურველ ქალბატონებს კეების ბლოკში ან მომძიარავებულ მუშაობის დაწყებას პირდებოდა. ამ საქმეში ჩინალაძე მოსახლეობისგან 1000-1500 დოლარს იღებდა, ხელფასად კი მათ 400-600 დოლარს პირდებოდა. სიცრუე რეალობასთან ცოტა ახლოს რომ ყოფილიყო, მოტყუებულ ადამიანებს ქავთარაძის ქუჩაზე მდებარე სამკურნალო კომბინატში შემონმებაზე აგზავნიდა - ჯანმრთელობის სხვადასხვა ფორმის ცნობასთან ერთად, მძღოლებს "ფსიქოლ" უნდა აეღოთ.

"როცა მუშაობის დაწყების პროცესი ჭიანჭურდებოდა და ხალხი მას პასუხის სოფლად, ჩინალაძე მათ დასამშვიდებლად "BP"-ს კონტრაქტორი კომპანიის "პეტროფაგის" ყაღვ პასპორტებს აძლევდა. ზოგიერთს კი "ინტერნეტშეწველ პაისის" ყაღვი სერტიფიკატი მისცა, თითქმის მათ ინგლისურის კურსებში შექონდათ გავლილი და გამოცდის ჩაბარება აღარ მოუწოდებდა," - განაცხადეს ფინანსურ პოლიციამ.

ჩინალაძეს მთელი საქართველოს მასშტაბით ხუთი ოფისი ჰქონდა გახსნილი და დამხმარეებიც ჰყავდა. ერთ-ერთი მათგანი ყაზბეგ მარუშაშვილი თბილისის ოპერატიულ სამმართველოს პასუხისგებაში ჰყავს მიცემული. ფინანსურ პოლიციას ამ ეტაპზე მისგან მოტყუებული 900 ადამიანი ჰყავს დაფიქსირებული. მათგან ჩინალაძეს, დაახლოებით, მილიონ-მილიონნახევარი დოლარი აქვს მითვისებული.

ჩინალაძე ანუშაძე ფინანსურ პოლიციას ემალება. **"როგორც ჩანს, ამისთვის იგი წინასწარ იყო მომზადებული, რადგან საბუთების მიხედვით, იმ ადგილას არის რეგისტრირებული, სადაც არასდროს უცხოვრია. რაც ყველაზე მეტად მაოცებს, ამ ქალმა ათასზე მეტი ადამიანი მოატყუა და არავის მოსვლია აზრად, მისთვის საბუთი მოუთხოვა და ვინაობა გადაეწმინებინა,"** - განაცხადა ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველოს ოპერატიულმა თანამშრომელმა დათო კოლანაშვილმა.

ჩინალაძის და მის დამხმარეების მიმართ სისხლის სამართლის საქმე თაღლითობის მუხლით აღიძვრება და საქმე გამოსაძიებლად სამართალდამცავ ორგანოებს გადგეგზავნება.

24 საათი

ალანა თავდორაძე "ფიქრალბანის" სამართლებრივ რეაბილიტაციას ითხოვს

პარლამენტარი ელენე თევდორაძე მზადაა, გაფართოებული საკომიტეტო მოსმენა გამართოს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მომხრეთა სამართლებრივი რეაბილიტაციის საკანონმდებლო ინიციატივათა განსახილველად.

როგორც პარლამენტარი აცხადებს, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მომხრეებმა უდიდესი ტანჯვა გადაიტანეს, თუმცა ირაკლი დოკუაძის გარდა, არც ერთ მათგანს სამართლებრივი რეაბილიტაცია არ მიუღია.

"მოგითხვე, რომ არა მხოლოდ გამსახურდიას ხელისუფლების მომხრეთა რეაბილიტაცია განხორციელდეს, არამედ - მათი ნათესავების, რადგან მათ უდიდესი სულიერი ტრავმა მიიღეს", - აღნიშნა თევდორაძემ.

ელენე თევდორაძე დარწმუნებულია რომ ზვიად ძიძგურის, კახა კუკავას და კობა დავითაშვილის მიერ გამსახურდიას პოლიტიკურ მხარდამჭერთა სამართლებრივი რეაბილიტაციისათვის საფუძვლის მომზადების ინიციატივა ყოფილი უზენაესი საბჭოს წარმომადგენლებსა და 1990-1992 წლების ხელისუფლების მხარდამჭერებს ხელს შეუწყობს და დაეხმარება, საზოგადოების სრულყოფილიანი წევრები გახდნენ.

ინტერ-პრესი

რუსთაჰის საკრებულო მსხვილგადახედოთა ინსპექციის თანამშრომელთა წინააღმდეგ

რუსთაჰის საკრებულომ მსხვილგადახედოთა ინსპექციის თანამშრომელთა პასუხისგებლობის საკითხი დააყენა. მიზეზად კი მსხვილგადახედოთა მიერ ქალაქის ბიუჯეტის უკვე ორი თვის გეგმის ჩაგდებას ასახელებენ. სწორედ ამიტომ პედაგოგთა სახელფასო და საშემუშელო თანხების გაცემა გვიანდება. **"წინა თვეშიც დავგაკლდა თანხა, მაგრამ ეს იოლად გადავიტანეთ, იმიტომ, რომ რუსთაჰის საგადასახო ინსპექციამ გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ამ თვის გეგმა 932 ათასი ლარია. მსხვილგადახედოთა ინსპექცია კი გეგმებდა, რომ მათში 190 ათასი ლარი დავგაკლდებოდა. ჩვენ, მარტო 800 ათასი ლარი პედაგოგების თანხის გასახტუმრებლად გვჭირდება,"** - განაცხადა რუსთაჰის საფინანსო სამსახურის უფროსმა გორა დეკანოზიძემ.

როგორც დეკანოზიძე, ისე რუსთაჰის საკრებულოს წევრები იმედოვნებენ, რომ მსხვილგადახედოთა ინსპექცია გეგმის შეუსრულებლობის მიზეზს დეტალურად განმარტავს.

ალსანიშნავია, რომ რუსთაჰიდან მსხვილგადახედოთა ინსპექციაში აღრიცხავაზე სს "აზოტი", "რუსთა-ცეცმენტი", "პროგრესი" და სს. "ყაზბეგი" დგანან.

ინტერ-პრესი

თქვეან ხართ ის არი...



სტივენ ეარლი: ახლა თქვენზე ხედავთ. თუ როგორ მდგავარ ორივე ფეხზე და ეს, მართლაც, სენსაციაა.

მიმდინარე წლის მარტში საქართველოს ფავოთერაპიის ცენტრში სამკურნალოდ ჩამოვიდა ამერიკის მოქალაქე სტივენი ეარლი, რომელსაც კალიფორნიის შტატის ექიმებმა მუხლის ხელოვნური სახსრის ტრასპლანტაციის დროს "Staphylococcus aureus" ბაქტერიით ინფიცირების გამო ფეხის ამპუტაცია დაუპირეს. შემდეგ მოხდა სასწაული.

სტივენმა საქართველოს ფავოთერაპიის ცენტრისა და პრეპარატ "ფავოთიოდერმის" შესახებ ინფორმაცია საერთაშორისო ჟურნალში სრულიად შემთხვევით შეიტყო. ამას მოჰყვა დამატებითი ინფორმაციის მოპოვება ინტერნეტში და ფეხის შენარჩუნების ბოლო იმედით სტივენი უცნობი ქვეყანის გზას დაადგა.

ფავოთერაპიის ცენტრში სტივენი ეარლის გაუკეთდა სამი ოპერაცია და ჩაუტარდა ხანგრძლივი ფავოთერაპიის კურსი, რის შედეგადაც მუხლის სახსარი სრულიად გაიწმინდა ინფექციისგან.

ამერიკელი პაციენტი აღფრთოვანებულია ქართველი ექიმებით და სიხარულით საუბრობს თავის ჯანმრთელობაზე: **"ერთხელ, სირბილის დროს, ფეხი ვიტყინე. წლების მანძილზე ყურადღება არ მიმიქცევია. ამ ორი წლის წინათ კი ძალიან შემაწუხა ფეხის ტკივილი. როდესაც ექიმს მივაკითხე, უკვე მძიმე მდგომარეობა მქონდა. თორმეტი ოპერაცია გამიკეთეს, მაგრამ შედეგი ვერ მივიღეთ, ვინაიდან ორგანიზმში სტაფილოკოკური ინფექცია იყო შეჭრილი. 2003 წლის დეკემბერში გადაწყდა ამპუტაცია. ვფიქრობდი, რომ უფვიად სრულფასოვანი ადამიანი აღარ ვიქნებოდი. ამის გამო ოჯახიც დამეწვია, მეუღლეს გავცილიდი. შემდეგ ინტერნეტის საშუალებით მივიღე ინფორმაცია საქართველოში შექმნილი პრეპარატის შესახებ. ახლა თქვენზე ხედავთ, თუ როგორ ვდგავარ ორივე ფეხზე და ეს, მართლაც, სენსაციაა. სიტყვები არ მყოფნის მაღღირებლის გამოსახატავად. ერთი სიტყვით კი ასე თქვამს: თქვენ ხართ ის ერი, რომელსაც წარმოუდგენელი თანაგრძნობა შეუძლია,"** - განაცხადა სტივენი ეარლი.

"ფავოთიოდერმს" მოიპოვებული აქვს საერთაშორისო პატენტი, რის გამოც საქართველოში ჩამოვიდნენ დასავლელი პაციენტები და მათი მკურნალობა წარმატებით დასრულდა. დღეისთვის ოთხი ასეთი შემთხვევაა დაფიქსირებული. პრეპარატი განსაკუთრებით კარგ შედეგებს იძლევა ზედაპირული ინფიცირებითი ჭრილობების, წყლულების, ნაწოლების, დამწვრობების, ნაკბენების სამკურნალოდ.

ანტიბიოტიკების მიმართ მდგრადობის პრობლემა მსოფლიოში სულ უფრო სავანგაბო ხდება. აშშ-ში გასულ წელს ანტიბიოტიკების მიმართ მდგრადი ინფექციების გამო 90 000 ადამიანი დაიღუპა.

ამერიკისა და ევროპის ქვეყნებისთვის ფაგებით მკურნალობა ახალი მეთოდია. ამჟამად წარმოება და კვლევა იაპონური და ამერიკული გრანტების საშუალებით მიმდინარეობს, თუმცა, სრულყოფილი სამეცნიერო საქმიანობისთვის ეს თანხა საკმარისი არ არის. ცენტრს ესაჭიროება დამატებითი ფინანსების მოძიება. მით უმეტეს, რომ მას არა აქვს საკუთარი შენობა. დამატებითი ინფორმაცია მოიპოვება საიტზე www.phagetherapy.org.

ნინო ბერელიძე

ბათუმის ბეთმთაჰანი ქარხნის დირექტორი დააკავეს

რამდენიმეწლიანი დაკითხვის შემდეგ, გუმინ ბათუმში, ფინანსურმა პოლიციამ ბათუმის გემთსაშენი ქარხნის დირექტორი ვაჟა ცინცაძე დააკავა. ქარხნის დირექტორს გამოძიება გადასახადების დამალვაში ედება. ვაჟა ცინცაძის დაკითხვის პარალელურად, ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლები გუმინ ბათუმის გემთმშენებელ ქარხანაში შემოწმებას ატარებდნენ. შემოწმების შედეგად ვაჟა ცინცაძეს, ჯარიმებისა და საურავეების სახით, 500 ათასზე მეტი ლარის გადახდა დაეკისრა. ფინანსური პოლიციის შეკითხვები კომპანია "აღორძინება-M"-ს უკავშირდება, რომელიც გემთმშენებელი ქარხნის ბაზაზე დაფუძნებული და არენდით, უკვე რამდენიმე წელია, დიანა აბაშიძეს აქვს აღებული.

ბათუმის საოლქო საგადასახადო ინსპექციამ ბათუმის გემთსაშენის საექციო საზოგადოება "აღორძინება-N"-ის საქმიანობაში სერიოზული დარღვევები აღმოაჩინა.

"აღორძინება-N" 1997 წლის 21 მაისს ახლან აბაშიძის ვაჟმა გიორგი აბაშიძემ დააფუძნა. მის დირექტორად დაინიშნა ვაჟა ცინცაძე. როგორც ფინანსური პოლიციამ ვარაუდობენ, გამოძიებისას, შესაძლოა, კიდევ უფრო სერიოზული დარღვევები აღმოაჩინონ.

24 საათი

ქონტრაბანდული ტვირთი სამცხე-ჯავახეთში დააკავეს

გუმინ სამცხე-ჯავახეთის ფინანსურმა პოლიციამ უსახუთო ხე-მასალის დატვირთული ერთი მიკროავტობუსი, აღურიცხავი ფეცილით დატვირთული ერთი სატვირთო ავტომანქანა და ახალციხეში სარეაგავაციო მესული 400 ბლოკი უაქციზო სიგარეტი დააკავეს.

ფინანსური პოლიციის უფროსის ალექო ქურდაძის განცხადებით, გუმინე, სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს 200 ლიტრი ალურიცხავი დნეოტი, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის დაცვის თანამშრომელმა პეტროფავიდან გასაყიდად გამოიტანა.

აღნიშნული საქმე შს სამინისტროს გადაეგზავნება და, სავარაუდოდ, დაცვის თანამშრომლის მიმართ ქურდობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება.

24 საათი

"საქართველოს ელექტროკავშირის" აბონენტების 8-22 კოდის გამოყანება 1 ივლისიდან ძალაში არ გავა

"საქართველოს ელექტროკავშირის" აბონენტებისთვის სხვა ქსელის აბონენტებთან დაკავშირებისას 8-22 კოდის გამოყენება 1 ივლისიდან ძალაში არ შევა.

"ელექტროკავშირში" განაცხადეს, რომ კომპანიის აბონენტები სხვა ქსელის აბონენტებს კვლავაც ჩვეული რეჟიმში დაუკავშირდებიან. პირველი აგვისტოდან კი, როდესაც მომსახურება ფასიანი გახდება, კოდის გამოყენება დაიწყება.

ალსანიშნავია, რომ ფასიანი მომსახურება პირველი ივლისიდან უნდა შესულიყო ძალაში, თუმცა საქართველოს მრაველურიტებული ეროვნული კომისიის მოთხოვნით, ერთი თვით გადაიდო, ვინაიდან ჯერ არ დამთავრებულია იმ გამოთვლებზე მუშაობა, რომლითაც "ელექტროკავშირში" წუთზე 2 თეთრის დაწესება ითხოვს. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ელექტროკავშირის მომსახურება სხვა ქსელის აბონენტებთან დარეკვისას ფასიანი არ უნდა იყოს, მაგრამ ტარიფის დადგენილად საჭიროა ზუსტი გაანგარიშება," - განაცხადეს კომისიაში.

ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

თბილისი. "ლეიბორისტულმა (შრომის) პარტიამ" გენერალურ პროკურატურას შშს "თბილწყალკანალის" სისტემის რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი თანხების მითვისებაში მონაწილე პირთა დაკავების მოთხოვნით მიმართა. **პრაიმ-ნიუსი**

თბილისი. ზიქვინათში, სოხუმის ხელისუფლების ინიციატივით დაგეგმილი კონფერენცია გაიხსნა, რომლის მუშაობაში მონაწილეობას, ქართველი ექსპერტების გარდა, ევროპული და რუსი პოლიტოლოგები და ექსპერტები იღებენ. **ინტერ-პრესი**

თბილისი. თბილისის ორდლიანი ოფიციალური ვიზიტით იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკო ფრანტინი ეწვია. დაგეგმილია შესხვედნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან სალომე ზურაბიშვილთან, საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან და პრემიერ-მინისტრთან ზურაბ ჟვინიათან. **ინტერ-პრესი**

თბილისი. "ტრადიციონალისტთა კავშირის" ერთ-ერთი ლიდერი გუბაშე სანიკოძე მიჩინეს, რომ სამხრეთ ოსეთთან მიმართული საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა, ტაქტიკური თავდასაზრისით, სწორია, თუმცა ოფიციალური თბილისი კოკოთის რეჟიმთან კომპრომისზე არ უნდა ნავიდეს. **მედია-ნიუსი**

ქუთაისი. პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ქუთაისში დაგეგმილი ოფიციალური ვიზიტით შეცვალა და მხოლოდო ქალაქს იგი ოპოზიციაციულად შეტყობრა. გუმინ ქუთაისში ბურჯანაძეს, როგორც მაჟორიტარი დეპუტატი, ბიურო უნდა გახსნილიყო, მაგრამ მან ეს გადაწყვეტილება შეცვალა. ამის მიზეზი გახდა პარლამენტის თავმჯდომარის ბიძის გარდაცვალება, რომელიც ქუთაისში ცხოვრობდა. **ინტერ-პრესი**

ფოთი. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, სამართალდამცველებმა ფოთში ასაფეთქებელი ნივთიერების არსენალს მიაკვლიეს. არსენალში ყოფილი რუსული სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. ნაპოვინა 2 კილოგრამამდე ტროტული, დეტონატორები, ყუმბარმკერძები, რეაქტიული ჭურვები, ქიმიური შაშხანები, რადიოსადგური.

შუშორობის სამინისტროში არ გამოირცხვენ, რომ ასაფეთქებელი ნივთიერებების არსენალი, შესაძლოა, ტრანქეტებისთვის იყო განკუთვნილი. ვის ეუთუვნება და საიდან აღმოჩნდა ასაფეთქებელი ნივთიერების არსენალი ყოფილი რუსული სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე, ჯერჯერობით, უცნობია. **მედია-ნიუსი**

თბილისი. იუსტიციის სასწავლო ცენტრში ადვოკატებისთვის თვენახევრიანი სასწავლო კურსი გაიხსნა, სადაც იურისტებს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში პრაქტიკულ ლექცია-სემინარებს ჩაუტარებენ. როგორც იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორი სულხან გაბაშვილი აცხადებს, ადვოკატები იუსტიციის საბჭოს მიერ შემოგდგამაზე დაგეგმილი გამოცდისათვის ემზადებიან. ადვოკატებს ლექციებს ჩაუტარებენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტები. **მედია-ნიუსი**

თბილისი. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პოლიციელებმა ყაჩაღობისათვის ძებნილი, 24 წლის შმაგი გრიგალაშვილი დააკავეს. მას ჩხრეკისას 0.1 გრამი ჰეროინი აღმოაჩნდა. გამოძიების ინფორმაციით, დაკავებულმა 21 იანვარს დანის მუქართი ბეჟან პატარაკიშ

აქარის სტატუსი "მოდირან" არ გადადის

გიორგი ასანიშვილი

დღეს მუშაობას იწყებს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესია. მისი მოწვევა, ძირითადად, "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" კონსტიტუციური კანონპროექტის მეორე მოსმენით მიღების საჭიროებამ განაპირობა. იურიდიულ საკითხთა კომიტეტში ამ დოკუმენტს გუშინ რამდენიმე საათის განმავლობაში იხილავდნენ.

ოუსტიციის მინისტრის, გიორგი პაპუაშვილის განმარტებით, პირველი მოსმენის შემდეგ, კანონპროექტში არსებითი ხასიათის ცვლილებები არ შესულა. სამაგიეროდ, როგორც ირკვევა, მუხლობრივი განხილვის წინ დეპუტატებს შენიშვნები მრავლად დაუგროვდათ.

წინო კალენდაძეს მაჩნია, რომ დაუშვებელია ქვეყანაში ერთდროულად რამდენიმე კონსტიტუციის არსებობა. ამიტომ, იგი მოითხოვს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას ეწოდოს "ძირითადი კანონი", "სტატუტი" ან რაიმე სხვა სახელი.

კიდევ უფრო შორს მიდის პარლამენტარი თამაზ დიასამიძე. მისი წინადადებაა, რომ სახელი აჭარის უმაღლეს საბჭოს და მინისტრთა საბჭოსაც გადაერქვათ და ისინი, შესაბამისად, "წარმომადგენლობით საბჭოდ" და "აღმასრულებელ საბჭოდ" იწოდებოდნენ.

კოლეგების აზრს მთლიანად იზიარებს ნოდარ გრიგალაშვილი. **ამით აჭარას არაფერს ვართმევთ. და თუ**

ქართულ-ოსური კონფლიქტის არსი და პრეპონდენტის დაპირება

ნინო გომაართალი

"გაყინული" ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირება, როგორც ჩანს, ქართულ პოლიტიკაში მნიშვნელობით პირველ პოზიციას იკავებს. ძალზე მძირია პარალელები აჭარასთან, რაც პრობლემის არსს აუზრალიოებს. სამხრეთ ოსეთს ჰყავს თავისი დე-ფაქტო ხელისუფლება, რუსეთის მოქალაქე ოსი ეროვნების მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი და გააჩნია საზღვარი იმ-ავე მსოხლდ რუსეთთან.

საქართველოს პრეზიდენტი კი დარწმუნებულია, რომ ახლო მიმავალში სამხრეთ ოსეთშიც იმგვარადვე განვითარდება მოვლენები, როგორც ეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოხდა და ხალხი თვითონ გააკეთებს გასაკეთებულს.

რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, იგი მიიჩნევს, რომ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლება რეალობას ვერ აფასებს.

"საქართველოს ხელისუფლებას სურს, რაც შეიძლება სწრაფად და მშვიდობიანი გზით მოავგაროს ცხინ-ვლის პრობლემა, რისთვისაც თანა-მმდევრული გეგმა გააჩნია. ის, რომ ცხინვალის მხრიდან ვითარების პროვოცირება, ხელოვნურად დაძა-ვდა და გასრლები ხდება, ჩემთვის გა-საგებია, რადგანაც ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებას არ სურს დი-ანახოს ის პოზიტივი, რაც პრობლემის დარეგულირების უკავშირდება," - აღნიშნავს ნინო ბურჯანაძე.

ამ "თანმიმდევრული გეგმის" განხორციელებისთვის წინააღდგომა ცხინვალმა რუსეთისკენ მიმავალი გზების გადაკეტვით ცცადა, მაგრამ, საპასუხოდ, საქართველოს ხელისუფ-ლებმა გადაწყვეტილებით, საქართვე-ლო-რუსეთის ღარსის მონაპოვეთის დროებით სავიზო-გამშვებ პუნქტზე,



იარი ლონგინის ფოტო

ვართმევთ, ამით ამ კუთხის მოსახ-ლეობის გულებსაც გავახარებთ და კობა დავითაშვილისასაც", - ერთდ-როულად ორი კურდღლის დაჭერა სურს ბორჯომის მაჟორიტარ დეპუტატს.

კანონმდებელთა შენიშვნებს ოუსტიციის მინისტრი არ ეთანხმება. იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ტერ-მინებთან დაკავშირებით სტატუს-კეო

იქნას შენარჩუნებული. გიორგი პაპუაშვილის თქმით, აშშ-ში თავისი კონსტიტუცია ცალკეულ შტატებსაც აქვთ, ხოლო გერმანიაში - უნივერსიტეტებს. **"შთავრია, ამ ტერმინს რა სამართ-ლებრივი დატვირთვა ექნება",** - აცხადებს პაპუაშვილი.

დეუტატი ვასილ მაღლაფერიძეც მომხრეა, რომ აჭარის სტატუსთან და-კავშირებული ტერმინოლოგია ამ ეტა-

პირისთვის, კონფლიქტოლოგებს თუ პოლიტიკოლოგებს. როგორც ჩვენთან საუბარში იურის-ტები დავით უსუფაშვილი აღნიშნავს, იგი არ ელოდება კონფლიქტის კვანძის უახლოეს მომავალში გახსნას, რადგან სამხრეთ ოსეთში ბევრი ისეთი ფაქტორი არსებობს, რაც დაფიქრებას მოითხოვს და არავითარ შემთხვევაში - სიჭაქრეს.

"შე სწორად მიამჩნია პრეზიდენ-ტის პოზიცია, რომ ის უახლოეს მომ-ავალში არ გეგმავს ამ პრობლემის მო-გვარებას, თუმცა, ამასთანავე, ენერ-გიულად ამ პრინციპულ ნაბიჯებს დგამს ამ მიმართულებით," - აღნიშნ-ავს უსუფაშვილი.

მასვე უჭირს სამხრეთ ოსეთისა და აჭარის პრობლემატიკის ერთმანეთთან დაკავშირება, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ აჭარის ავტონომიური რე-სპუბლიკის მოსახლეობას სულ სხვა გა-ნწყობა ჰქონდა, რაც საბოლოოდ გადა-წყვეტი აღმოჩნდა. რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, აქ ოსი ეროვნების მოსახ-ლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი ქართ-ველებისა და ქართული სახელმწიფო-სადმი მტრულად განწყობილია.

"ამასთანავე, ძალზე სერიოზული ფაქტორია ის, რომ რუსეთთან არე-ბული საზღვარი მეზობელ სახელმწი-ფოს შესაძლებლობას აძლევს მეტი მანიპულირებისთვის, იქნება ეს იარ-აღის რეგონში შეტანა თუ სხვა რამ," - აღნიშნავს იურისტი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ქარ-თულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გა-ნაღებული რუსეთის სამხედრო ძა-ლები, რომელთაც, მანდატის მიხედვ-ით, ნებისმიერი კონფლიქტური სიტუა-ცია შეუძლიათ განიხილონ ჩარევის სა-ფუძველზე.

ამასთანავე, უსუფაშვილის განცხა-დებით, ძალზე მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ფაქტორი - სამხრეთ ოსეთში ძა-ლიან დიდი რაოდენობაა რუსეთის მო-ქალაქეებისა.

პზე უცვლელი დარჩეს. მინისტრსა და პარლამენტარებს შორის კამათმა კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო, როდესაც საუბარი აჭარის უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტი-ლებების შეჩერების საკითხს (კანონპ-როექტის თავდაპირველ ვარიანტში "შეჩერების" ნაცვლად, გაუქმება" ფიგურირებდა) შეეხო. გიორგი პაპუა-შვილის აზრით, პარლამენტს უნდა ჰქონდეს აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოცემული ნორმატიული აქ-ტების შეჩერების უფლება, ოღონდ, აჭარის საკანონმდებლო ორგანოს ას-ეთი გადაწყვეტილების საკონსტიტუ-ციო სასამართლოში გასაჩივრების უფლება შეუწარჩუნდეს.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრთა უმრავლესობის აზრით კი, პრეზიდენტსა და პარლამენტს უნდა შეეძლოთ, საკონსტიტუციო სასამარ-თლოში შევიდნენ წარდგინებით აჭარ-ის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობა-ზე და, ვიდრე საკონსტიტუციო სასა-მართლო საბოლოო ვერდიქტს გამოი-ტანს, აჭარის საკანონმდებლო ორგან-ოს მიერ მიღებული ნორმატიული აქ-ტის მოქმედება შეჩერდეს.

ვინაიდან აღმასრულებელი და სა-კანონმდებლო ხელისუფლების წარ-მომადგენლებმა ამ საკითხზე კონსენ-სუს ვერ მიაღწიეს, იურიდიულ საკი-თხთა კომიტეტი მას რიგგარეშე სესი-აზე აღტქერნატივის სახით წარადგენს.

სამაგიეროდ, კომიტეტის წევრებ-მა გუშინ თითქმის ერთსულოვნად (15 მომხრე, ერთი წინააღმდეგი) დაუჭი-რეს მხარი ევმალ გახოკიძის კანდიდა-ტურას, რომელიც პრეზიდენტ სააკაშ-ვილის მიერ უწენავს სასამართლოს წევრად არის წარდგენილი.

საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესია იწყებს. მისი მოწვევა, ძირითადად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ კონსტიტუციური კანონპროექტის მეორე მოსმენით მიღების საჭიროებამ განაპირობა. იურიდიულ საკითხთა კომიტეტში ამ დოკუმენტს გუშინ რამდენიმე საათის განმავლობაში იხილავდნენ.

"სახელმწიფოებრივ-ტერიტორიუ-ლი თვალსაზრისით, ეს ფაქტორი არა-ფერს ცვლის, თუმცა მნიშვნელოვანია ის, რომ რუსეთის სახელმწიფო ვალდე-ბულია დაიცეს თავისი მოქალაქეები, ანუ გამოიყენოს ყველა სამხედრო თუ ეკონომიკური უფლებები, ამ არგუმ-ენტს და მოტივს კი რუსეთი ხელიდან არავითარ შემთხვევაში არ გაუშვებს, მით უმეტეს, რომ ამერიკა ამის გამო მას არ შეეძვება," - ამბობს იგი.

თავისებური პოზიცია აქვს სამხრ-ეთ კავკასიის რეგიონალური უსაფრ-თხოების ექსპერტს ალექსანდრე რუსე-ცკის, რომელიც მიიჩნევს, რომ ქართ-ულ-ოსური კონფლიქტის მოგვარები-სათვის უშთავრესია რეალური სტრა-ტეგიის შემუშავება საქართველოს ხე-ლისუფლების მიერ, რაც, ჯერჯერობ-ით, არ იკვეთება.

"არ ჩანს რეალური ხედვა იმისა, თუ რა შედეგის მიღება გვსურს და, რაც მთავარია, ამას ვერ ხედავს სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი მოსახ-ლეობა," - მიიჩნევს იგი.

პრობლემას ასევე სამხედრო თემა, ეს არის რაფიკა ზონა და ელემენტარ-ულ პატარა იცინდენტს, შესაძლოა, დამლუკველი შედეგი ჰქონდეს.

"საჭიროა სფეროების, რადგან სამხრეთ ოსეთის სერიოზული სამე-ზობლო გააჩნია. არის ჩრდილოეთ ოსეთი, ჩრდილოეთ კავკასია, და ყვე-ლა ეს ფაქტორი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული," - აცხად-ებს ალექსანდრე რუსეცკი.

როგორც მოგვარდება საბოლოოდ ქართულ-ოსური კონფლიქტი, სწორად გათვლილ ნაბიჯებზეა დამოკიდებუ-ლი. გასათვალისწინებელია საქართვე-ლი პრეზიდენტის დაპირებაც, რომ ძალე ქვეყნის ტერიტორიული მთლიან-ობა სრულად აღდგება. დაპირებები ექსპრეზენტტ ელუარდ შევარდნაძე-თან და აჭარასთან დაკავშირებით პრე-ზიდენტმა უკვე შეასრულა.

მამალადის ქონება დაყადაღებულია



მამალადის კილასთან დიდიდან ხალხმრავლობა იყო.

დაუსაბუთებელი ქონების ჩა-მორთმევის მესამე ეტაპი გრძელ-დება. გენპროკურატურის და სასა-მართლოს შემდეგ, დაუსაბუთებე-ლი ქონების საქმეში ოუსტიციის სა-მინისტროს სააღსრულო დეპარტ-ამენტი ჩაერთო. აღმასრულებ-ლებმა გუშინ, თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის, ამჟამად ქრთამის გამოძალვის ბრალდებით ძებნილი ლევან მამალადის ქონება დააყადაღეს. ოუსტიციის სამინისტროს ცნობით, სააღსრულებო დე-პარტამენტმა ყადაღა დაადო მამა-ლადის კუთვნილ ავარაკს დაბა კო-ჯორში და მის მიწის ნაკვეთებს სოფელ ნავკისსა და შინდისში.

კოჯორის ავარაკზე მისულ სა-აღსრულებო დეპარტამენტის თა-ნამშრომლებს, ოჯახის წევრების ნაცვლად, წინააღმდეგობა ძაღლმა გაუწია, რის გამოც დაყადაღების პროცესი დროებით გაჩიანურდა. აღმასრულებლებმა მამალაძეების ერთგული მეგობრის იზოირება მოახდინეს და საბოლოოდ ყველა-ფერის სასამართლო გადაწყვეტი-ლების აღსრულებით დასრულდა.

გენპროკურატურის სარჩელე-ბის საფუძველზე ყადაღა დაიდგა, ასევე, მის საცხოვრებელ სახლს თბილისში ატენის ქუჩაზე. როგორც უკვე ცნობილია, ოუსტიციის სამინისტროს საალს-რულებო დეპარტამენტმა ყადაღა უკვე დაადო უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტ-

უფასო განათლება ქალებს

ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი საბე-რძეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს (Hellenic Aid) მხარდაჭერით ახორციელ-ებს პროექტს ქალთა უფლებებზე და აცხადებს 18-35 წლამდე ასაკის ქალებს მილე-ბას უფასო კომპიუტერულ და ინგლისური ენის შესწავლაზე კურსებზე. კურსები გათვალისწინებულია დროებით უმუშევარი შემდეგი კატეგორიის ქალებისათვის:

- მარტოხელა დედები
 - ღატოკილები და იძულებით გადაადგილებული ქალები
 - ტრეფიკინგის მსხვერმლნი
 - ვინიკური უმცირესობის მსხვერმლი
- პროგრამის ხანგრძლივობაა 5 თვე, რომლის განმავლობაშიც მოხდება საოფისი და სახლადღრო კომპიუტერული პროგრამებისა და ინგლისური ენის შე-სწავლა. გათვალისწინებულია იურიდიული და ფსიქოლოგიური კონსულტაციე-ბი, ასევე, ტრენინგები ადამიანის უფლებებისა და მენეჯმენტის სფეროში. შე-რჩეულ კანდიდატებს უნდა შეეძლიათ 5 თვის განმავლობაში დროის საკმაოდ დიდი ნაწილი დაუთმოონ კურსებს.

მსურველები დაგვიკავშირდნენ 1 ივლისს 17 საათამდე. საკონტაქტო ინფორ-მაცია: თბილისი, აღმაშენებლის 89/24, მე-12 სართული ("თბილქალაქპროექტ-ის" შენობა, მეტრო "მარჯანიშვილის" უკან) ტელ: 95-10-03; ელ-ფოსტა: hric@internet.ge; http://www.humanrights.ge



International Finance Corporation

Member of the World Bank Group

სააქციო საზოგადოებაის ხელმძღვანელოვის სამსურადღებოდ!

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი აცხადებს კონკურსს სააქციო საზოგადოებებისათვის, კორპორაციული მართვის დანერგვის პოლიტურ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

კორპორაციული მართვა ესაა სისტემა, რომლის მეშვეობითაც კომპანიის მართვა და კონტროლი ხორციელდება. საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის კორპორაციული მართვის გაუმჯობესების კომპონენტი მიმართულია ქართული საწარმოების გაფინანსებასა და მათ მიერ დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობის შექმნაზე. პირველ ეტაპზე შეირჩევა 5 სააქციო საზოგადოება. შერჩეული სააქციო საზოგადოებები პოლიტურ პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ შეძლებენ:

- კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის შეწარუნებას;
- გაზრდილი ქონების ღირებულების, გუდების, საზოგადოების აქციების ღირებულების ხარჯზე სარგებლის მიღებას;
- დვიდენდების გაზრდას / გაცემას;
- გარეშე ფინანსირებაზე გასვლას (კაპიტალის ბაზრები);
- შრომითი რესურსების მოზიდვას (მმართველები და თანამშრომლები);
- სამუშაო ადგილების ზრდასა და ზოგადად ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას.

მსურველი სააქციო საზოგადოება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- კომპანია უნდა იყოს რეგისტრირებული სააქციო საზოგადოებად;
- კომპანიაში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს.

დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ დაუკავშირდეთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტს შემდეგ მისამართზე:

თბილისი, ი. ჭავჭავაძის 1 ჩიხი, 5ა.
ტელ.: 91 26 89, 91 29 58, 91 30 96
ფაქსი: 91 34 80
პოლიტური პროგრამის პირველი ეტაპის დახურვის თარიღია ა.წ. 16 ივლისი.

ნავთობი იაფდება

უკვე ორი კვირაა, ნავთობის ფასი შეუჩერებლად ეცემა. ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ უახლოეს მომავალში ერთი ბარელი ნავთობის ფასი 30 დოლარამდე დაეცემა. ამის ერთ-ერთ მიზეზად კი ერაყისთვის ძალაუფლების ინიციატენტების გარეშე გადაცემა სახელდება.

ღიანა ჩაჩაა

ორშაბათს ერაყის სახელმწიფო ნავთობმომპოვებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ქვეყნის ორი სამხრეთ პორტიდან "შავი ოქროს" ექსპორტი თითქმის ორ მილიონ ბარელს მიაღწევს დღე-ღამეში. მიუხედავად იმისა, რომ ოამადე ერაყიდან ექსპორტირებული ნავთობის მოცულობა დღეში 2,2 მილიონ ბარელს

თის ნავთობმა კი ეს ჯერ კიდევ გასულ კვირას გააკეთა, გაუტოლდა რა ბარელზე 33,95 დოლარს.

ნავთობის ფასის დაცემაზე გავლენა მოახდინა, ასევე, ნავთუგიაში ნავთობის მოპოვების აღდგენამ, რაც იქ მიმდინარე სამოტესტო აქციებით იყო გამოწვეული.

პირველი ივლისიდან ძალაში შედის ოპეკის გადაწყვეტილება კარტელის ქვეყნებში ნავთობის მოპოვების დღემდე ორი მილიონი ბარელით გაზრდის შესახებ. ამასთან, ოპეკი პირველი ავგისტოდან ნავთობმოპოვების წილის დღემდე 500 ათასი ბარელით გაზრდას არ გამოირცხავს.

ზღვარი, რომლის ქვემოთაც ნავთობის ფასი არ შეიძლება დაეცეს, ანა-

ლიტიკოსების აზრით, არის ბარელზე 30 დოლარი. ერთ-ერთი რუსი ანალიტიკოსის აზრით კი, ბარელზე 30 დოლარი უკვე კრიტიკული მაჩვენებელია, რომელზეც ბაზარს ურჩევდნენ შეჩერდეს. იგი ნავთობზე ფასის დაცემის ერთ-ერთ ფაქტორად ერაყის მმართველობის ნაციონალური ხელმძღვანელობისთვის აღცემვას მიიჩნევს.

ნავთობის მოპოვებლებისთვის შედარებით კომპიმიტებით პროგნოზებს აკეთებს მოსოლეთი ბანკის დირექტორი ჰაიერი. მისი მისაზრებით, 2004 წლის ბოლოსათვის ნავთობი ბარელი, საშუალოდ, 32 დოლარი ეღირება. **"ამჟამად ნავთობმომპოვებელი ქვეყნებისთვის კონვენტუალა ძალიან კარგად ეწყობა,"** - განაცხადა მან.



"თქვენი აფხაზეთი"

კონცაფსია საქართველოს სახელმწიფო აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ

სამუშაო ჯგუფის შექმნისა და დოკუმენტის მომზადების მოტივაცია

აფხაზეთის კონფლიქტის სამხედრო დაპირისპირების ეტაპის დასრულებიდან 11 წლის შემდეგ ჯერ კიდევ ლიად რჩება უმნიშვნელოვანესი საკითხი: როგორ ხედავს საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის მომავალი მოწყობის მოდელს, რა მექანიზმებით იქნება უზრუნველყოფილი აფხაზეთის სუვერენიტეტი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში და, საერთოდ, არ ხარისხის სუვერენიტეტზე საუბარი.

აღნიშნულ საკითხებზე ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან დღემდე არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი პოზიცია. ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად (რომელიც 1995 წ. საქართველოს კონსტიტუციაშიც აისახა), ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მოდელის განსაზღვრას ხელს უშლის დაურეგულირებელი კონფლიქტები, მათ შორის, პირველ რიგში, სწორედ აფხაზეთის კონფლიქტი. ამგვარ მიდგომაში მიზეზ-შედეგობრივი კავშირის აღრევა - რეალურად, კონფლიქტები ვერ დარეგულირდება მანამ, სანამ ქვეყნის ხელისუფლებას არ ექნება მკაფიოდ ხედვა საქართველოს სახელმწიფოს მომავალი მოწყობისა.

ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ერთიანი, პოლიტიკურად და სამართლებრივად შეერელებული პოზიციის არქონის ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს ისიც, რომ დღემდე აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში ძირითადი იმედები დამყარებულია გარეშე ძალებზე (გაერო, რუსეთი, აშშ, მეგობართა ჯგუფი). რა თქმა უნდა, ამ ძალებს უდიდესი გავლენა გააჩნიათ არსებულ ვითარებაზე, მაგრამ კონფლიქტის გადაწყვეტის გასაღები ქართული და აფხაზური მხარეების შეთანხმებაშია. ასეთი შეთანხმება კი ვერ შედგება მანამ, სანამ ცენტრალური ხელისუფლებას არ ჩამოყალიბდება, თუ რას სთავაზობს ის აფხაზეთის საზოგადოებას.

მეორე მხრივ, არსებული ვითარება პრობლემებს უქმნის ჩვენს მეგობარ სახელმწიფოებსაც. იმ პრობლემა, როდესაც არ არსებობს საქართველოს მთავრობის მკაფიო პოზიცია საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსისა და გარანტიების თაობაზე, სამაგიეროდ ხანდახან გაისმის მოწოდებები პრობლემის ძალისმიერი ზნით გადაწყვეტისაკენ, მეგობარ სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან კონფლიქტის მოსაწესრიგებლად და ქვეყნის ასაშენებლად გადამდგულ რეალურ, კონსტრუქციულ ნაბიჯებს.

შექმნილი ვითარება კი რუსეთის აძლეხს ხელს, რომელიც უკვე აშდენი ხანია ინარჩუნებს საშუალებას, ერთი მხრივ, გამოჩნდეს აფხაზეთის თვალში, როგორც ქართველთა მოსალოდნელი აგრესიისაგან მათი ერთადერთი დამცველი და, მეორე მხრივ, იმ საბაჰუთის დასავ-

ლეთის სახელმწიფოებს, რომ საქართველო მზად არ არის კონფლიქტის დემოკრატიული, ცივილური ფორმებით გადაწყვეტისათვის.

საქართველოს ცენტრალური ხელი-სუფლების მხრიდან კონსტრუქციული, დემოკრატიული წინადადებების პაექტის წარდგენა შეკეთრად გაუძნელებდა რუსეთის ამგვარი თამაშის გაგრძელებას და სამართლებრივ, პოლიტიკურ და მორალურ ნიადაგს შეუქმნიდა დასავლეთის ქვეყნებს, რათა გააძლიერონ ზემოქმედება როგორც რუსულ, ასევე აფხაზურ მხარეზე.

რაც შეეხება უკანასკნელს, მისთვის არსებულ პრობლემაში აღტერნატივა არ არსებობს - საქართველოს იურისდიქციის აღდგენა აფხაზეთის მიერ აღიქმება როგორც უშუალო საფრთხე მათი ფიზიკური არსებობისათვის. ამდენად, მათთვის გაუგებარია, თუ რატომ უნდა თქვან უარი თუნდაც დე-იურე არშემდგარ და ნაკლულ დამოუკიდებლობაზე, საქართველოს შემადგენლობაში ზუნდოვანი მომავლის სასარგებლოდ. ამიტომაც, რომ აფხაზური საზოგადოება ესოდენ კონსოლიდირებული გვევლინება (გარეგნულად მაინც) საქართველოსაგან პოლიტიკური თვითშოლირების თვალსაზრისით. იმ შემთხვევაში კი, თუ ქართველი მხარე შეძლებს შესთავაზოს აფხაზეთის მოსახლეობას მისი უფლებებისა და სუვერენიტეტის დაცვის რეალური გარანტიები საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში, გაჩნდება რეალური ჩვენები, თუ არ არის უკაცესი: არაღირებული დამოუკიდებლობა და გაურკვეველი მომავლის შიში, თუ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება, აქედან გამომდინარე ყველა პოზიტიური შედეგით. ცხადია, ამ მიზნის მისაღწევად არ არის საკმარისი მხოლოდ ზოგადი დამოკიდებები, რომ საქართველოს სახელმწიფოში სრულად იქნება გათვალისწინებული აფხაზური ეთნოსის უფლებები და მას მიეცემა მსოფლიოში არსებულითაგან ყველაზე ფართო ავტონომია. საქართო კონკრეტული წინადადებები, მექანიზმები, გარანტიები. კონფლიქტის დარეგულირების ძირითადი პრინციპების თაობაზე საერთაშორისო თანამეგობრობის ზოგადი ხედვა წარმოდგენილია ე.წ. "ბოდენის დოკუმენტში".

მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, "ბოდენის დოკუმენტთან" პრინციპული ხასიათის პრეტენზიები აქვთ როგორც აფხაზურ, ასევე ქართულ მხარესაც. აფხაზურ მხარეს აშინებს საქართველოს სახელმწიფოში რინტეგრირება, ხოლო ქართულ მხარეს - აფხაზეთის სუვერენული სტატუსის დაფიქსირება. არის თუ არა აღნიშნული წინააღმდეგობა გადაუჭრელი? ვფიქრობთ, რომ - არა. "ბოდენის დოკუმენტის" ფუნქციონალური პრინციპების კონკრეტული, სამართლებრივად და პოლიტიკურად გამართული, დემოკრატიული მექანიზმებითა და გარანტიებით შეესების შემთხვევაში შესაძლებელი გახდება ორივე მხარისათვის მისაღები გადანეყვტილებების შემუშავება. ოღონდ, ეს უნდა გააკეთონ უშუალოდ ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა, რადგან ვერც გაერო და ვერც საერთაშორისო თანამეგობრობა მათგან დამოუკიდებლად ვერ განსაზღვრავს, აფხაზეთის სუვერენიტეტის კონკრეტულად რა ხარისხი შეიძლება ერთდროულად შეუ-

საბამებოდეს ორივე მხარის ინტერესს.

ნათელია, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბებას ძალზე უშლის ხელს თვით აფხაზეთის საკითხის სიმძაფრე. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დენილთა დაბრუნების საკითხების ნებისმიერი ფორმით წამოწევა იწვევს მთელი საზოგადოების ძლიერ ემოციურ გამოძახილს, რომ აღარაფერი ვთქვათ თვით იძულებით ადგილნაცვლი პირების რეაქციაზე. ამდენად, სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფისათვის არსებობს ობიექტური "ცდუნება", გამოიყენონ კონფლიქტის დარეგულირების საკითხი საკუთარი პროპაგანდისტული ინტერესებისათვის, ამ გზით შეინარჩუნონ ადგილი პოლიტიკურ ასპარეზზე, მოიპოვონ პოპულარობა და მოსახლეობის მხარდაჭერა. შედეგად, საქართველოს ხელისუფლებაში შეინიშნება პოზიციითა სიჭრელე, დაწყებული კონფლიქტის მოგვარების ძალისმიერ მეთოდზე აქცენტითა და დასრულებული აფხაზეთის მმართ დანესებული ყველა სახის სანქციის მოხსნის მხარდაჭერით.

ამავე დროს, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ნათელია, რომ ის, რაც იყო 1992 წლამდე, ევიარ აღდგება და საჭიროა ფირი იმაზე, თუ როგორი იქნება საქართველოს, როგორც ერთიანი სახელმწიფოს მომავალი. პარალელურა, მაგრამ დღეს საქართველო მზად არ არის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. არ არსებობს აფხაზთა და ქართველთა თანაცხოვრების მოდელი, ორივე მხარის უფლებების დამცავი მექანიზმები. მსგავს ვითარებაში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამ და იძულებით ადგენილსაგან მოსახლების დაბრუნებამ შეიძლება უფრო მეტი პრობლემა წარმოქმნას, ვიდრე დღეს არსებობს დაერეგულირებული კონფლიქტის სახით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დოკუმენტის ავტორთა ჯგუფი შევნიშნულად შეეცადა, გვერდ აეყვლი წინასწორ პოლიტიკურ ძალასთან იდენტიფიცირებისათვის და შეექმნა აკადემიური ხასიათის დოკუმენტი, სადაც შეძლებისდაგვარად ობიექტურად იქნებოდა ასახული აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური, კონსტიტუციური მეთოდებით დარეგულირების მათეული ხედვა. წარმოდგენილი კონცეფცია მთლიანად იზიარებს "ბოდენის დოკუმენტის" ზოგად სულისკვეთებას და წარმოადგენს ცდას, კონკრეტული მექანიზმებისა და გარანტიების შემთავაზებით შექმნას საფუძველი ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ნაციფიერი მოლაპარაკებების წარმოებისა და ურთიერთმისაღები გადანეყვტილებების მისაღწევად.

დოკუმენტი მომზადებულია ქართულ ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში არიან: კონსტანტინე კუბლაშვილი, არჩილ გეგეშიძე, ივლიანე ხაინდრავა და პაატა ზაქარეიშვილი. მის მომზადებაში არგუმენტირებული შენიშვნებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს დავით ბაქრაძემ, თინათინ ხიდაშელმა და დავით დარჩიაშვილმა, აგრეთვე საქეყვნოდ ცნობილმა და აღიარებულმა მეცნიერებმა: პროფესორმა თომას უფელიანიერმა (ფრანკფურტი, გერმანია) და პროფესორმა ალექსანდრე ბლეიკნაველმა (შუმბერგის უნივერსიტეტი, გუ-

რლინი, გერმანია). ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია "The Conciliation Resources"-ის (შერიგების რესურსები) წვლილი, რომლის დახმარებამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა სამუშაო ჯგუფის რეგულარული შეკრება და დოკუმენტის შექმნა.

ძირითადი დოკუმენტი შედგება ხუთი ნაწილისა და ორი დანართისაგან. დოკუმენტის პირველი ნაწილი შეიცავს ქართულ-აფხაზური პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობების მოკლე მიმოხილვას. კერძოდ, გაანალიზებულია ქართულ-აფხაზური ურთიერთობები რუსეთის იმპერიის დამლისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის პერიოდში (1917-1921), შემდგომ - უკვე საბჭოთა კავშირის ხანაში და ბოლოს, საბჭოთა კავშირის დამლის შემდგომ პირობებში, როდესაც კონფლიქტი კრიტიკულ სტადიაში შევიდა.

მეორე ნაწილი ეძღვნება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სამხედრო დაპირისპირების ფაზის შემდგომ მიმდინარე პრიცესებს, კერძოდ, 1994-2003 წლების სამშვიდობო მოლაპარაკებების ანალიზს; განხილულია აღნიშნულ პერიოდში წამოყენებული პოლიტიკური და დიპლომატიური ინიციატებები.

დოკუმენტის მესამე ნაწილში იდენტიფიცირებულია კონფლიქტთან დაკავშირებული ყველა დანტერესებული მხარე, აგრეთვე მოცემულია მათი ინტერესების პარტიკულარზაციისა და ახალიზის მომხაზი. სუბიექტების სახით წარმოდგენილია როგორც ქართული და დეფაქტო აფხაზური ხელისუფლებებისა და საზოგადოების ცალკეული სეგმენტები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები და შესაბამისი სახელმწიფოები.

მეთხვე ნაწილი მოიცავს დოკუმენტის მომზადების მომენტისათვის (2003 წ. დეკემბერი) აფხაზეთში არსებული ვითარების აღწერას; გაანალიზებულია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო, სოციალურ, ინფრასტრუქტურისა და რელოგიის სფეროებში შექმნილი ვითარება.

თქვენს წინაშე წარმოდგენილია დოკუმენტის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი, მისი ბოლი - მეხუთე ნაწილი. მასში ჩამოყალიბებულია საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის ორიგინალური კონცეფცია. არსებულ პოლიტიკურ რეალიტებზე, აგრეთვე სათანადო საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, რეკომანდირებას და ევდერალიზმის პრინციპების შერწყმის საფუძველზე შემთავაზებულია საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის სპეციფიკური მოდელი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, ანგარიში გაენიოს აფხაზეთის ისტორიულად და სამართლებრივად ჩამოყალიბებულ გამოჩრეულობას, საქართველოს სხვა რეგიონების კულტურული, პოლიტიკური, ისტორიული და გეოგრაფიული თავისებურებების ფონზე. დოკუმენტში დეტალურად არის განხილული საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსი, ამ სტატუსიდან გამომდინარე ყველა უფლება და ვალდებულება, განსაზღვრულია აფხაზეთის განსაკუთრებული უფლებამოსილებათა კონკრეტული წესისა,

შემთავაზებულია დამატებითი გარანტიები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოფილი აფხაზი ხალხის დაცვისა და განვითარების პირობები, მათ შორის - პოლიტიკურ, სამხედრო, ფინანსურ, დემოგრაფიულ და სხვა სფეროებში.

ამავე ნაწილში მოყვანილია კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების პროექტების ძირითადი დებულებები. კერძოდ, "შეთანხმება კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ" და "ფედერალური შეთანხმება აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ", აგრეთვე აღწერილია ამ შეთანხმებათა ამოქმედების პროცედურა.

“ეს 1987 წელს მოხდა. ჯერ ზუსტად არც კი ვიცოდით, რომ ერთ წელიწადში საბჭოთა კავშირი დაიშლება და, მე, ირაკლი ფარჯიანი, ქეთი ბაბელი და გია ბუღაძე დაგვიბარეს კულტურის სამინისტროში და ავგისხნეს, რომ პალერმო თბილისთან დაძმო-ბილებული ქალაქია და სწორედ იქ უნდა მოეწყოს ჩვენი გამოფენა, და რომ ჩვენთან ერთად მოდის მათა პლისე-კაია და ვიკალური ინსტრუმენტული ანსამბლი "ივერია" – სიურეალიზმია აბა რა არის” – ივინის მხატვარი. ჩვენს საუბარში მხატვარი გეგა პაქსა-შვილი ერევა: “გე იგივეა, რაც ანეკდო-ტი დათა თუთაშხიაზე, ოლეგ ზლოხინ-ზე და ბრეჟნეზე.” ლევან ჭოლოშვილი კი აგრძელებს თავის მოგონებებს პირველ მოგზაურებაზე “რკინის ფარდ-ის” თემა: “მთელი იქ ყოფნის მანძილ-ზე მოგვეცეს ხუთი-ხუთი დღიარი და ავგვიკრძალეს ნახატების გაყიდვა. მე და ირაკლი ფარჯიანმა ერთად დავხა-ტეთ რაღაც და შემდეგ ლენინში და სივარტეში გადავცავალით”

“დღეს როგორ გეყიდება ნამუშე-ვრები აქ, ჩვენთან?” – ვეკითხები მხატვრას და ვცდილობ, უკვე აღიარებული მხატვრის მაგალითზე ჩვენი არტ-ბაზრის ნიუანსებსა და პრინცი-პებში გავერკვე. **“რომელ პრინციპზე-ზუა საუბარს, როცა კავკაზში ჩემ-ზე იაფი ღირს.** ასეთ პირობებში გა-ყიდვის სურვილი არც კი მაქვს. მირჩენია ნამუშევრები გაყავიქო.” – მე-უბნება მხატვარი მხარე ლიმილი. კომენტარი თქვენთვის მომინდია.



ევროპის ჩემპიონატზე სულ სამი მატილა გამოართვეა. ნახევარფინალისტებს შორის არც იტალიის, არც ინგლისის, არც საფრანგეთისა და არც ესპანეთის ნაკრები გუნდები აღარ არიან. ეს გუნდები ევროპის ჩემპიონატს დროზე ადრე გამოეთიშნენ, მათთან ერთად – მადრიდის "რეალის" ვარსკლავებიც. ვერც ფრანგმა ზიდანმა, ვერც ინგლისელმა ბექჰემმა და ვერც ესპანელმა რაულმა ვერ შეძლეს გულშემატკივართა მოლოდინის გამართლება. ამ გარემოებას ყველა თავისებურად ხსნის. თავისი აზრი აქვს ხოხე ანტონიო კამაროსაც. მადრიდის "რეალის" ახლად დანიშნული მწვრთნელი, რომელიც აქამდე პორტუგალიურ "ბენფიკაში" მოღვაწეობდა, ევროპის ჩემპიონატზე კომენტატორად მუშაობდა. ახლა ის სამშობლოში დაბრუნდა და ევროპის ჩემპიონატზე მიღებული შთაბეჭდილებებს გვიზიარებს.

- ევროპის ჩემპიონატზე თქვენ ესპანეთის ნაკრების მატჩებს უკეთესდით კომენტარს, პორტუგალიიდან დაბრუნების შემდეგ კი არც ერთ ტელეტრანსლაციას არ აცდეთო. რას ფიქრობთ იმაზე, რომ ტურნირიდან ევროპის ხუთი უძლიერესი ნაკრები გავარდა? მთავარი პრობლემა ფეხბურთელების ფიზიკურ მომზადებაში იყო? მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე უარეს შედეგებს უნდა ველოდოთ?

- არა, დარწმუნებული ვარ, ასეთი რამ არ განმეორდება. აღარასოდეს. პორტუგალიაში ახლა ძალიან ცხელა, თანაც, ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების უმრავლესობა მეტისმეტად დაძაბული გამოდგა და თავისი როლი ამ გარემოებამაც ითამაშა. ვფიქრობ, მსოფლიო ჩემპიონატისთვის ფეხბურთელების მენტალიტეტი შეიცვლება. იქ ამერიკელები და აფრიკელებიც ჩაელენ და ისინი განსხვავებულ რიტმს შესძენენ ტურნირს. ევროპის ჩემპიონატზე კი ყველა გუნდი ერთი და იმავე რიტმით მოქმედებდა. მიუხედავად ამისა, საბერძნეთმა და პორტუგალიამ სხვა სიჩქარეები შემოგვთავაზეს, ამიტომაც არიან ნახევარფინალში. ევროპის ჩემპიონატზე ის იმარჯვებს, ვინც პრესინგით თამაშობს.

- რა აკლადთ გერმანელებს, ფრანგებს, იტალიელებს, ინგლისელებს და ესპანელებს?

- ვთვლი, რომ მათ ფანტაზია და იმპროვიზაცია აკლდათ, ეს კი მაშინ ხდება, როდესაც ფიზიკური ფორმა არ არის წესრიგში. როდესაც ფორმაში არ ხარ, მაშინ მწვრთნელის დავალებებსაც ვერ ასრულებ, ხოლო როდესაც ფორმაში ხარ, მაშინ მონინაა-



კამაროს ფავორიტი პორტუგალიის ნაკრებია



კამაროს პორტუგალიის წარმატების სკერა.

ლმდეგის საჯარიმოში შედიხარ და მას ხიფათს უქმნი.

- ევროპის ჩემპიონატზე თქვენ ოთხი "გალაქტიკოსი" იხილეთ: რაული, ზიდანი, ბექჰემი და ფიგუ. ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაამართლა მოლოდინი. არ გალელვებთ ეს ფაქტი?

- ერთადერთი ფეხბურთელი, რომელსაც "გალაქტიკოსს" უწოდებენ და რომელმაც კარგად ითამაშა, პაველ ნედვედი იყო, ნანილობრიც, ალბათ, ფიგუც. თუმცა, უკანასკნელ მატჩში ფიგუ მატჩის დასრულებამდე 20 წუთით ადრე შეცვალეს, რათა მომავალი მატჩისთვის დაესვენებდათ. არც ანრი ბრწყინავდა. ვარსკვლავებმა ვერ ითამაშეს ისე, როგორც ამას ევლოდით და ეს მხოლოდ "რეალის" ვარსკვლავებს არ ეხება. გაიხსენეთ, როგორ ითამაშეს პოლანდიელებმა შეედების წინააღმდეგ! მხოლოდ ზიდანებში, ბექჰემებში და რაულეში არ არის პრობლემა. ყველა ფეხბურთელი ერთ დონეზე თამაშობდა, ყოველგვარი რიტმის გარეშე.

- დევიდ ბექჰემმა ინგლისურ პრესაში განაცხადა, რომ ევროპის ჩემპიონატს მეტისმეტად ცუდ ფიკურ ფორმაში შეხვდა და ეს იმით ახსნა, რომ მადრიდის "რეალში" ცუდად ამზადებენ ფიზიკური თვალსაზრისით.

- ევროპის ჩემპიონატის მონაწილე ფეხბურთელთაგან მხოლოდ იმ ფეხბურთელებს ვიცნობ, რომელთაც ჩემთან უმუშავიათ - მოკოტა, ფიასასი, სიმპო, ნუნო გომეში, მიგელი და პეტი. მე კარგად ვიცი, თუ რისი ბრალია ამ ფეხბურთელების კარგი თუ ცუდი თამაში. მაგრამ მე არ ვიცი, თუ როგორ ივარჯიშეს გასულ სეზონში "რეალის" ფეხბურთელებმა. ასე რომ, თქვენს კითხვას ვერ ვუპასუხებ. მხოლოდ ის ვიცი, რომ ფეხბურთელი, რომელსაც საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირება და "რეალის" მსგავს კლუბში მოხვედრა მოჰმავალი მატჩისთვის წინააღმდეგ! მხოლოდ ზიდანებში, ბექჰემებში და რაულეში არ არის პრობლემა. ყველა ფეხბურთელი ერთ დონეზე თამაშობდა, ყოველგვარი რიტმის გარეშე.

- და თქვენ შეძლებთ "რეალის" ფეხბურთელების ფიზიკური ფორმის აღდგენას?

- დიას. და ეს თავად ფეხბურთელებმაც კარგად იციან. ისინი ყველაზე მეტად არიან დაინტერესებული, რომ თავიანთი საუკეთესო თვისებები წარმოაჩინონ, განსაკუთრებით "რეალის" შემადგენლობაში ჩატარებული წარუმატებელი სეზონისა და ევროპის ჩემპიონატზე განცდილი მარცხის შემდეგ. მათ სურთ, რომ კვლავ გახდნენ ისეთი ფეხბურ-

თელები, რომელთაც ყველა ეთაყვანება.

- დაელაპარაკებით თუ არა ბექჰემს, რათა მას ევროპის ჩემპიონატზე გამოუყენებელი პენალტების შემდეგ "ტვინი გაუწმინდოთ"?

- ფრთხილად იყავით. ბექჰემი ის ფეხბურთელია, რომელიც ძალიან ბევრს მუშაობს მოედანზე, ხოლო ინგლისის ნაკრებში მას დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. "რეალში" კი სხვა ფეხბურთელებიც არიან. მან იცის, რომ საჯარიმო დარტყმების შესრულება მოუწევს, მაგრამ მან ისიც იცის, რომ მის გვერდით ზიდანი, ფიგუ, რონალდო, რობერტო კარლოსი და რაული თამაშობენ და მას არ მოუწევს მთელი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. ეს ფეხბურთელები თანაზრად გაიანაწილებენ ლიდერის ფუნქციებს. მთავარი, რისი გაკეთებაც მათ მოუწევთ, მადრიდის "რეალის" აღორძინებაა. "რეალი" ხომ თითოეულ მათგანზე, ჩემზე და ყველა სხვა ადამიანზე მაღლა დგას. პირადი საკითხები მე არ მაღელვებს.

- მადრიდის "რეალს", ალბათ, ძალიან წაადგებოდა, თუ 32 წლის ზიდანი საფრანგეთის ნაკრებში თამაშზე უარს იტყუადა...

- ნუ ფიქრობთ ასე. როდესაც ნაკრებში თამაშობ, თვითშეფასების

აღმავლორიდან დასვამდა

ინგლისის ნაკრებისგან ევროპის ჩემპიონატზე ან უდიდეს გამარჯვებას ან უდიდეს სირცხვილს მოელოდნენ. საბოლოოდ არც პირველი მოლოდინი გამოთლდა და არც მეორე. ერიქსონის გუნდი ვკუფიდან კი გავიდა, მაგრამ მეოთხედფინალში პენალტების სერით დაეშვიდობა ტურნირს.

წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი უაღრესად არაპროგნოზირებადი აღმოჩნდა. ისეთმა სპეციალისტმაც კი, როგორიც სვენ-გორან ერიქსონია, ვერ მოახერხა ევარაუდა, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები. ამ ჩემპიონატზე სპეციალისტებისთვის, ისევე როგორც გულშემატკივრებისთვის, ძალიან ბევრი სენსაცია მოხდა. ერიქსონმაც კი ფიასკო განიცადა. არადა, მისი დასკვნები ჰაერზე მოტანილ ღიფრებს კი არა, გარკვეულ გათვლებს ემყარებოდა.

შედი სპეციალისტის თქმით, ჩემპიონატის უმთავრესი ფავორიტი გერმანიის ნაკრები უნდა ყოფილიყო. "ფრანგებს, რა თქმა უნდა, შესანიშნავი გუნდი ჰყავთ, მაგრამ, ჩემი აზრით, ფავორიტი გერმანიაა. სხვებისგან განსხვავებით, გერმანიის ნაკრები ყოველთვის იფთხი განწყობით იბრძვის, მაშინაც კი, როცა ცუდ ფეხბურთს თამაშობს, - თავის აზრებს აფრქვევდა ინგლისის ნაკრების მწვრთნელი, - ბუნებრივია, არ უნდა ჩამოვწყოთ ჩემპიონატის მასპინძელი პორტუგალია და ისეთი გუნდები, რომლებიც იტალია, ჩეხეთი და ესპანეთი არიან. მათ სანაქებო კოლექტივი ჰყავთ".

შედგად, ერიქსონის ფავორიტმა ვკუფური ეტაპი ვერ დაძლია. მეორე "ფანტასტიკური" გუნდი მეოთხედფინალიდან გამორიდა. ინგლისის ნაკრების თამაზე კი ერიქსონი თავშეკავებით საუბრობდა: "ჩვენ კარგი გუნდი ვხვდებით. თუმცა, ბევრი რამ იქნება იმაზე დამოკიდებული, თუ როგორ ითამაშებენ ფეხბურთელები ეროვნული ჩემპიონატის უკანასკნელ ტურის მატჩებს. მთავარია, ტრავმა არავინ მიიღოს და ყველა ფეხბურ-


თელი საუკეთესო ფორმაში იყოს".

შემდგომში ერიქსონი შეეცადა, ზურგი გაემკარებინა. ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე მან გაიხსენა, თუ როგორ ჩავარდა საფრანგეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე კორეა-იაპონიაში. სპეციალისტმა აღნიშნა, რომ მაშინ ყველა ფეხბურთელი უალრესად გადაღლილი იყო. შეეძმა დაიწუნუნა, რომ მის ფეხბურთელებსაც იგივე პრობლემა აქვთ.

თუმცა, რაც უფრო ახლოვდებოდა ევროპის ჩემპიონატი, ერიქსონის განწყობილება სულ უფრო უმჯობესდებოდა. მას ყველაზე ადრე შემადგენლობის დასახელებაც კი სურდა, მაგრამ გადაწყვიტა, სხვებისთვისაც შანსი მიეცა. შეიცვალა მისი განცხადებების ტონიც: "ინგლისს შანსი აქვს, ტურნირი მოიგოს. ეს ყველამ კარგად იცის. თუ ამას არ შევძლებთ, გულშემატკივრების წინაშე თავის მართლებასაც არ დავინყებ".

ოპტიმისტურად განეწყვენენ ერიქსონის თანამემწეებიც. გუნდის მეორე მწვრთნელმა სტივ მაკლარენმა განაცხადა, რომ ეროვნულ გუნდს ახლა უფრო აქვს ჩემპიონატის მოგების შანსი, ვიდრე ორი წლის წინათ მსოფლიო ჩემპიონატზე. "ჩვენი გუნდი ბევრად უფრო ძლიერია იმ ნაკრებზე, რომელიც იაპონიაში გაემგზავრა, - განაცხადა მაკლარენმა, - ვერ ერთი, პორტუგალიაში გაემგზავრება ხუთი ისეთი ფეხბურთელი, რომელსაც მსოფლიო პირელობაზე არ უთამაშია. ესენი არიან: გარი ნევილი, სტივ ჯერარდი, ჯონ ტერი, ფრენკ ლამპარდი და უეინ რუნი. მეორე ის, რომ თითქმის ყველა ფეხბურთელი ჯანზეა. მესამე კი ის, რომ ფეხბურთელები შესანიშნავ ფორმაში არიან. აი, რატომ მგონია, რომ ინგლისის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის მოგების კარგი შანსი აქვს".

საინტერესო იყო ინგლისელი სპეციალისტებისა და პრესის ვერსიებიც. მრავალი წლის შემდეგ პირველად მოხდა, რომ პრესა გარკვეულ რამაში არიან. აი, რატომ მგონია, რომ ინგლისის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის მოგების კარგი შანსი აქვს".



ერიქსონი ოპტიმისტურად იყო განწყობილი. მაგრამ...

აღარ შეიმჩნევდა სათაურები: "ნაკრები დასაფლავებაზე მიემგზავრება" ან "ჩვენ აუცილებლად გვირგვინით დავიბრუნდებით". არავინ იცოდა, თუ რისი მაქნისი იყო ეს გუნდი.

ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ ერიქსონი უაღრესად ჭკვიანი მწვრთნელია და მისი მოსვლის შემდეგ ინგლისის ნაკრები უფრო პროგრესს განიცდის. ვთქვათ, ტაქტიკური თვალსაზრისით. როგორც ინგლისელი კოლუმბისი ნერდნე, გუნდს "შეტი ტვინი" აღმოაჩნდა. თუმცა, ამავე დროს შეეძმა სპეციალისტმა ბოლომდე ვერ მოახერხა ფეხბურთელთა მენტალიტეტის შეცვლა. მათ ყოველთვის არ შეუძლით, მიმდროულ ისე ემოქმედათ, როგორც ამის შეედი მწვრთნელი ავალებდა და არა იმიტომ, რომ ინგლისელი ფეხბურთელები უმჯინოები არიან. უბრალოდ, მათ სიხსლში აქვთ გამჯდარი ნაკლებად ტე-

ქნიკური, მაგრამ ათლეტური ფეხბურთის თამაში. მათ ფეხბურთის თამაშს ასე ასწავლიდნენ და მწვრთნელს არ შეეძლო, ვინც ღრმად მოეგონებოდა, რომ შეეცვალა.

ოთხიდან ორ მატჩში ინგლისელ ფეხბურთელებს მობილიზება არ ჰყოფნიდათ და ბოლო წუთებში ემოციებს ვერ აკონტროლებდნენ. ჯერ ორი წუთის შუალედში დამარცხდნენ ფრანგებთან მატჩში, შემდეგ კი პორტუგალიასთან ვერ შეინარჩუნეს სასურველი ანგარიში და ბოლო წუთებზე გაუშვეს საპასუხო გოლი. ამ ანგარიშმა ყველა დააკმაყოფილა. ყველამ გაიხსენა, რომ წარუმატებლობა ამ შემთხვევაში მხოლოდ შემთხვევითობა იყო. ვინ გაბედვს მწვრთნელისთვის ქვის სროლას, როცა გუნდმა ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი პენალტების სერიაში დათმო? და შემდეგ ჩემპიონატზე, თუ გაუთვალისწინე-

ბელი არაფერი მოხდა, ინგლისის ნაკრები აუცილებლად მედლების მაძიებელთა შორის იქნება.

პორტუგალიის ტურნირზე ახალი ვარსკვლავი - უეინ რუნი აკაშკაშდა. "ვეერტონის" ფორვარდმა, რომელიც ტიპური ინგლისური სტილის ფეხბურთელად მიიჩნეოდა, თავი გამოიჩინა, როგორც უაღრესად ჭკვიანმა ფორვარდმა. გარდა იმისა, რომ გოლები გაჰქონდა, უეინ რუნი ამავე დროს უზარმაზარ შაე სამუშაოსაც ასრულებდა. მან ყველა მეტოქის დაცვა ააწიოკა და სამწუხაროა, რომ ტრავმის გამო რუნის მეოთხედფინალში გააძლიერებოდა, ბექჰემმა საერთოდ გაანბილა თავისი უმარავი თავყანისმცემელი.

- დიას. მე არ შემიძლია, მთელი სეზონის განმავლობაში ერთი და იგივე ფეხბურთელებით ვითამაშო. მნიშვნელოვანი მოთამაშეები დოზირებულად უნდა გამოვიყენოთ, რათა სეზონის ბოლოს ისინი კარგ ფორმაში იყვნენ.

- არ მითხრათ, რომ ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში საბერძნეთის ნაკრების თამაში არ გამიწნებთ. ხომ არ გეჩვენებათ, რომ ფეხბურთელები დაცვით სტილს უბრუნდება? საბერძნეთი, "პორტო", "ვალენსია"...

- ტაქტიკას ის ფეხბურთელები განსაზღვრავენ, რომლებიც გუნდში გყავს, მაგრამ "რეალი" ვერასოდეს ითამაშებს ასეთ ფეხბურთს. მიუხედავად ამისა, ჩვენ არ ვამბობთ უარს დაცვითი სტილის ფეხბურთელების შეძენაზე, რადგან ეს მოთამაშეები უფრო დაბალანსებენ გუნდს. რა აზრი აქვს კიდევ ერთი ცენტრალური თავდასხმელის ყიდვას, როდესაც გუნდში რონალდო გყავს? ჩვენ შევიძინეთ სამეული და, შესაძლოა, კიდევ ერთი ცენტრალური მცველი დავიმბატოთ. საფეხბურთო გუნდი ოთხი ხაზისგან შედგება. ზიდანის, ფიგუს, რონალდოსა და ბექჰემის შეძენის შემდეგ სხვა ამპლუის ფეხბურთელების ყიდვის დრო დადგა. ჩვენ ძალიან ბევრი გოლი გავგიტანეს და ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს. პრეზიდენტმა ეს კარგად გაიგო. მეტოქე კიდევ უფრო დაგაფასებს, თუ რაული, ზიდანი ან ფიგუ კიდევ უფრო აქტიურად ითამაშებენ შეტევაში, ეს კი მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც საკუთარი კარი კარგად გვექნება დაცული.

- თქვენ მკაცრ მწვრთნელად ხართ ცნობილი, თუმცა, თქვნი ყოფილი ფეხბურთელები ყოველთვის გიცავენ?

- მე პირდაპირი ადამიანი ვარ და ყველფერს პირდაპირ ვამბობ. ვისაც არ უნდა ვარჯიშო, შეუძლია, არ ივარჯიშოს. თუ შენ ფეხბურთელი ხარ და გადაწყვიტე ივარჯიშო, მაშინ მწვრთნელის დავალებები ბოლომდე უნდა შეასრულო. თუ ფეხბურთელი ტრავმირებულია, მაშინ არ უნდა გარისკოს და უნდა გამოჯანმრთელდეს, მაგრამ ვერ შევცვლი ძალის, რომ სავარჯიშოდ მოსული ფეხბურთელი ბოლომდე არ დაიხარჯოს. თუ ვარჯიშობ, უნდა ივარჯიშო. მე არასოდეს მომიტყუებია ფეხბურთელები. შესაძლოა, სწორედ ეს არის ჩემი საიდუმლო.

- ევროპის ჩემპიონატზე რომელ გუნდს მიიჩნევთ ფავორიტად?

- პორტუგალიას. მათ უკვე ბევრი სიძნელე გადალახეს და გამარჯვებულის ფსიქოლოგია აქვთ. ვფიქრობ, ამ ტურნირზე ისინი უდიდეს მწვერვალს მიაღწევენ.

არგენტინი

მაოთხიდან მაოთხედში

სანდრო ნაპერინენი

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ფონზე “უიმბლდონი” არ იქცევს დიდ ყურადღებას, მაგრამ ეს მათთვის, ვისაც ჩოგბურთი არ უყვარს, თორემ ჩოგბურთის ფანებისთვის ეს პერიოდი ნამდვილი განცხრომაა. როგორც ვთქვი, “უიმბლდონი” მივიწყებულია და ამიტომაც, სწორად ახლა, როდესაც უკვე მეოთხედფინალური მატჩები უნდა შედგეს, მეც ვეცდები, ისეთი წერილი დავწერო, რომ მისი წაკითხვის შემდეგ იფიქროთ, “უიმბლდონზე” ვიყავიო. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ასე წერა რომ შემეძლოს, რალა მიჭირს, ჰონორარზე კი არ ვიქნებოდი.

მეოთხე ტურის მატჩებში რამდენიმე ისეთი შეხვედრა იყო, ფინალსაც კი დაამწვენებდა. ერთ-ერთი ასეთი ავსტრალიელი ლეიტონ ჰოუტისა და ესპანელ კარლოს მოიას შორის ჩატარებული მატჩი იყო. არც ერთი არ განიცდის კლასისა და ფიზიკური მომზადების დეფიციტს, მაგრამ, როგორც ცნობილია, ესპანელებს უჭირთ ბალახისაფარიან კორტზე თამაში, ავსტრალიელმა კი ორი წლის წინ “უიმბლდონის” ტურნირი მოიგო. ერთადერთი, რისი იმედიც ესპანელს შეიძლება ჰქონოდა, ის არის, რომ ბოლო დროს ჰუიტიც ვერ აჩვენებდა იმ თამაშს, როგორსაც მისგან შეჩვეულები ვართ. ავსტრალიელმა ოთხ სეტში დაამარცხა ესპანელი. მოიამ მხოლოდ ერთი, მესამე სეტის მოგება შეძლო. საბოლოო ანგარიში ავსტრალიელის სასარგებლოდ 6:4, 6:2, 4:6, 7:6 დაფიქსირდა. შევიცარიელი როჟერ ფედერერი მეოთხე წრეში ტურნირის ყველაზე მაღალ ჩოგბურთელს, ხორვატ ივო კარლოვიჩს დაუპირისპირდა. პირველი სეტი შევიცარიელმა უპრობლემოდ მოიგო, მაგრამ შემდეგ ორ სეტში მას ტაიბრეიკების ჩატარება მოუხდა, თუმცა, მეორე და მესამე სეტიც თავის სასარგებლოდ დაამთავრა, რის შედეგადაც მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ლეიტონ ჰუიტს შეხვდება. დამეთანხმებით, რომ ეს მეოთხედფინალური მატჩი დაძაბული და საინტერესო იქნება.

დიდი ინტერესი გამოიწვია ტურნირს შემორჩენილი ერთადერთი ბრიტანელის ტიმ ჰენმანისა და შარშანდელი “უიმბლდონის” ფინალისტის, ავსტრალიელი მარკ ფილიპუსის დაპირისპირებამ. სპეციალისტები თავს იკავებდნენ ფავორიტის დასახელებისგან, თუმცა, ძირითადად მაინც ჰენმანის გამარჯვებას ვარაუდობდნენ. ამას ასე ხსნიდნენ: ავსტრალიელი არ არის იმ დონის ჩოგბურთელი, რომელსაც ოპტიმალური ფორმის შენარჩუნება წელიწადზე დიდხანს შეუძლია, ჰენმანი კი საკრძოლედ შესაძმწნევ პროგრესს განიცდის, თანაც, მას ძალიან ბევრი ქომაგი ეყოლება. საბოლოოდ სპეცი-



ჰუიტი და ფედერერი ნახევარფინალში შეხვედრიან ერთმანეთს.

ალისტები მართლები აღმოჩნდნენ – ბრიტანელმა ოთხ სეტში 6:2, 7:5, 6:7, 7:6 დაამარცხა ფილიპუსი. ამერიკელი ენდი როდიკის მეტოქე გერმანელი გიგანტი ალექსანდერ პოპი იყო, თუმცა, როდიკის კლასსა და ეისებს გერმანელმა ვერაფერი დაუპირისპირა და მატჩი სამ სეტში დათმო, ანგარიშით 5:7, 4:6, 4:6. მეოთხედფინალში ამერიკელის მეტოქე პოლანდიელი სიენც შალკენი იქნება. პოლანდიელმა მეოთხე წრეში ამერიკელი ვინსენტ სპეიდი დაამარცხა. დამაივნდა მეთქვა, რომ ტიმ ჰენმანის მეტოქე მეოთხედფინალში ხორვატი მარიო ანჩიჩი იქნება.

კიდევ ერთ მეოთხედფინალურ წყვილს ფრანგი სებასტიან გროსჟანი და გერმანელი ფლორიან მაიერი წარმოადგენენ. გერმანელმა მეოთხე წრეში შეედი იოაჰიმ იოჰანსონი დაამარცხა. სებასტიან გროჟანს, შეიძლება ითქვას, შედა-

რებით ძლიერი მეტოქე ჰყავდა ამერიკელი რობი ჯინერის სახით, მაგრამ ფრანგმა სამ სეტში შეძლო მისი დამარცხება. რობი ჯინერის ისედაც არაეინ თვლიდა ამ შეხვედრის ფავორიტად.

ასე რომ, ჩოგბურთის გულშემოტიხედფინალები და კიდევ უფრო საინტერესო ნახევარფინალები გველის. შეეშვით ამ ფეხბურთს, ვერ ხედავთ, რა ხდება?! ალბათ, რამდენიმე წელიწადში გვინება-ბისეხეხე უნდა დაიწყოს... საუფეხბურთის ახალ მეფეს გაჩენის, ხოლო ამერიკული სამოა მსოფლიო ჩემპიონი გახდება, ევროპაში კი სან-მარინოს უძღვევლი ნაკერები ეყოლება. დაანებეთ ფეხბურთის ყურებას თავი, მითქვამს თქვენთვის, უყურეთ ჩოგბურთს... და კალათბურთსაც უყურეთ...

დაბოლოს, ქალებმა რა დაშავეს? არც არაფერი! მდებრობითი სქესი ხომ მთელი მსოფლიოს მას-

შტაბით მშვენიერებისა და სიყვარულის სიმბოლოა. ჰოდა, ამიტომაც გეტყვით, რომ მსოფლიომ, მანდილოსნების სახით, არაჩვეულებრივი ჩოგბურთელები შეიძინა. “უიმბლდონზე” კაცების გარდა ქალებიც თამაშობენ, მაგრამ მათი შეხვედრების დეტალურად აღწერას არ ვაპირებ. ფრანგმა ამელი მორეცმომ იტალიელ ფარიანა ელ-იასს ორ სეტში სძლია. სერენა უილიამსმა გოლოვინა დაამარცხა ორ სეტში. ჯენიფერ კაპრიატიმ ნადეჟდა პეტროვას სძლია ორ სეტში. კიდევ ერთმა ამერიკელმა ლინდსეი დევენპორტმა ხორვატი სპრემი დაამარცხა ორ სეტში 6:2, 6:2. და კიდევ ერთი შეხვედრა, როგამ პირველი სეტის წაგების შემდეგ დარჩენილი ორივე სეტი თავის სასარგებლოდ დასრულა.

კარაბი

"გვარდია"

გვარდიის ფასვებით

რატომღაც ისე იყო, რომ საბჭოეთის დროს აღმოსავლური ორთაბრძოლის მიმდევრებს იატაკქვეშეთში ყოფნა უწევდათ. ვერ გეტყვით, რა მავნებლობა დანახებს დიდმა ბელადებმა კარატეში, მაგრამ ფაქტია, ასე იყო. დღეს კი... დღეს უამრავი ასეთი სკოლაა საკუთარი ტრადიციებით, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია განევიანება და დაოსტატება.

პაატა მასხულიამ და ბადრი მაღალთაძემ სწორედ ეს გზა გამოიარეს. დღეს საკუთარი კლუბი აქვთ და რამდენიმე ათეულ აღსაზრდელს აოსტატებენ შოტოკანში, ზოგადად, კარატეში. მანამდე კი უამრავი რამ გამოსცადეს საკუთარ თავზე. განვლეს გზა იატაკქვეშეთიდან გვარდიამდე და შემდგომ – აფხაზეთის ოამდე.

“ნავარჯიშები რომ არ ვყოფილიყავი, დღეს, ალბათ, ცოცხალი არ ვიქნებოდი. - იხსენებს პაატა მასხულია. - სპორტის ამ სახეობამ დიდი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. დამეხმარა თავდაცვის უნარის გამომუშავებაში. თუმცა, ბევრს არ გაუმართლა და აფხაზეთში დაიღუპა”.

აფხაზეთის ომის შემდეგ მასხულიამ და მაღალთაძემ ისევ გააგრძელეს საცვარელი საქმიანობა და 1995 წლის დასაწყისში კლუბი “გვარდია” დაარსეს. მათი ზოგიერთი აღზრდილი კი დღეს თავადაი ისტრუქტორი. თვითონ კი ოთარ რამიშვილის შეგირდები არიან. რამიშვილის დამსახურებაა ისიც, რომ მასხულია დღეს ხუთი, ხოლო მაღალ-



ზოიბა აბაიძის ფოტო

თაძე ორი დანის მფლობელია.

რაც შეეხება წმინდა სპორტულ შედეგებს, ამ მხრივ მასხულიას შეგირდები, მართლაც, გამოირჩევიან. გარდა იმისა, რომ პაატა მასხულია შოტოკანს აზიარებს შეგირდებს, არანაკლებ კარგი შედეგები აქვთ მის მოწაფეებს კიკბოქსინგში. თენგიზ და ჯემალ სეგოიანები მსოფლიო ჩემპიონები არიან. თუმცა, საერთო ეკონომიკურმა გაჭირვებამ ძმები ოკეანის გაღმა – ამერიკაში წაიყვანა. რაც შეეხება შოტოკანს, აქ მა-

სხულის შეგირდები - ჯუმბერ ყანდარელი, შოთა გოგაძე, არტურ ამბარცუმიანი და აჩიკო კობაიძე შავი ზღვის ქვეყნების ჩემპიონები არიან. საქართველოსა და რიგი საერთაშორისო შეჯიბრებების ჩემპიონები და პრიზიორები არიან გიორგი ფარქოსაძე, ზურაბ ლალიზე, ირაკლი ჯინჯოლავა, თენგიზ ამირეჯიბი... ეს, რაც შეეხებათ დღედს. ასეთივე ტიტულებით პატარებიც გამოირჩევიან. საქართველოს პირველობებში პრიზიო-

რობასთან ერთად გუგა კირილაძე და ტელმან მამედოვი მავი ზღვის ჩემპიონები არიან.

ერთი სიტყვით, “გვარდიაში” ახალგაზრდობა იწრთობა. ბევრი მათგანი ოფიცერთა შეილებია, ბევრიც სხვები. მთავარი კი ისაა, რომ იქ მისვლა და ვარჯიში ნებისმიერ მსურველს შეუძლია. დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, ბევრ კარგ უნარს გამოიმუშავებთ. ისეთს მაინც, რომელიც თავდაცვისას დაგეხმარებათ.

ძიადო

აფრინდა, აფრინდა, ძიადოს ნაჰრაზი აფრინდა!

მერიის სპორტის სამსახურმა ახალგაზრდები საეეროშოდ წააქეზა



ახალგაზრდები საეეროშო სამზადისში არიან.

ლევან ხორაულიძის ფოტო

ბიზა ბარასაშვილი

დწვრილებით ვერ მოგაცივე-ბით, მაგრამ ის კი მასსოვს, რამდენიმე წლის წინათ როგორ გაკვირვებულმა დავტოვე ძიუდოსიტა ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჯემალ ნათელაშვილი. გამაკვირვა ნაამბობმა, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე ნაკრების მგზავრობას უკავშირდებოდა. არადა, ნამდვილია. საქართველოს ძიუდოსიტა ნაკრებმა კონტინენტის პირველობაზე შუაგულ ევროპაში ერთ-ერთი ძიუდოსიტს მშობლის მანქანით იმოგზაურა. ზუსტად კი იმიტომ არ მასსოვს, რომ მაშინ ჟურნალისტად არ ვმუშაობდი და ამგვარი დეტალები ნაკლებად მაინტერესებდა. უბრალოდ, ისტორია დამამახსოვრდა. მერე და მერე, როდესაც ჟურნალისტკამ დამაინტერესა, ბევრად მეტი საარაკო ამბები შევიტყვე და მაშინდელი ნაამბობიც და შემდგომი ისტორიებიც ჩვეულებრივ აზზად აღვიქვი. ესენიც, სპორტსმენებიც, ხან ნათხოვარი მანქანით მიდიოდნენ იქით, ევროპისკენ, ხან მატარებლით, ხან ავტობუსით. ერთი ტივით არ უმგზავრიათ. მათთვის თვითმფრინავს, როგორც ასეთს, გადაადგილების ფუნქცია დაკარგულიყო. ახლა რატომ მოვყევი ამხელა ისტორია? ახალი ამბავი ისევ ახალგაზრდულ – ძიუდოსიტა ნაკრებს უკავშირდება. არა! ახლა საქმე სხვაგვარადაა. უკეთესობისკენ. თბილისის მერიის სპორტის სამსახურის დახმარებით ძიუდოსიტებისთვის თვითმფრინავს ფრთები აქვს გაშლილი. როტერდამს კი საეეროშოდ დაუგია ტატამი. ერთი სიტყვით, 3-4 ივლისის პოლანდიის საპორტო ქალაქი ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატს უმასპინძლებს. 48 ქვეყანის ძიუდოსიტების მსგავსად, კიმონში ქართველებიც გამოეწყობიან და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უმედლოდ არ და-

TV-სპორტი

ოთხშაბათი. 30 ივნისი

HTB+ΦУТБОЛ

06:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: უილტონ ჩემბერლენი
06:30 NBA TV. WNBA-ს ჩემპიონატი. "LOS ANGELES SPARKS" - "NEW YORK LIBERTY". პირდაპირი ტრანსლაცია
08:30 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: აიზია ტომბილივა
12:00 თავისუფალი დარტცმა
12:15 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "რომა" - "ინტერი"
14:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/2001. "მანჩესტერ იუნაიტდი" – "პანათინაიკოსი"

15:45 თავისუფალი დარტცმა
16:00 ლებრტადორესის თასი. მატჩების მიმოილვა
16:30 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "ჩელსი" - "პოლტონი"
18:15 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "ესპანოლი" - "პარესელონა"
20:00 თავისუფალი დარტცმა
20:15 საფეხლო ტელერეორამა
20:20 "დარტცმა გოლისთვის
20:35 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/2001. "სპარტაკი" - "არსენალი"
22:20 განვლილი სეზონის გახსენება. პოლანდიის ჩემპიონატი. "აიაქსი" - შპე
00:05 "FUTBOL MUNDIAL"
00:35 "დარტცმა გოლისთვის
00:50 00:50-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV. დლორი
03:30 NBA TV – NBA-ს მიმოიხილა
04:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. ნელი 1981. ყველა ვარსკვლავთა მატჩი

HTB+СНОРТ

10:00, 12:50, 15:40 პრესცენტრი
10:20, 11:50 "ოლიმპის შეილები"
10:25, 13:05 "ფორმულის ჰამონია"
14:45 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. ქალები. მეოთხედფინალები
13:25 ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი ლიბიაში
13:55 "ზოლიადის მუუფენი"
14:25 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship"
15:55 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. ვაჟები. მეოთხედფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
21:55 საფეხლო ტელერეორამა
22:00 "აიუნის გზაზე"

23:00 "ტროფეი-რეიდი. "ლაღოვა-2004"

23:45 ყველაზე ძლიერი ადამიანი. ფინალი აშშ-ში. პირველი წაწილი
00:15 ახალი ამბები
00:30 "დღი თავეგადსავალი ბორნეოზე". ნაწილი მეორე
01:25 01:25-დან 04:40-მდე შესვენება
04:40 ფეხბურთი. ბრაზილიის თასი. ფინალი. "ფლამენგო" - "სანტო ანდრე". საპასუხო მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT

09:00 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
09:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
10:30 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
11:00 თავდაცვაწალი. რეიდი მაროკოში
11:30 ოლიმპური თამაშები. მიზანი - ათენი
12:00 მულტისპორტი. კვირის სტუმარი
12:15 მულტისპორტი
12:30 მილესონობა. გრან-პრი ხორვატიაში
14:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
15:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების კლასიკა
16:00 კრივი. მსოფლიო ჩემპიონატი ოუნიორთა შორის აშშ-ში
17:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების ლეგენდები
18:30 ფეხბურთი. ევრო 2004-ის გუნდები
19:00 მილესონობა. გრან-პრი ხორვატიაში
20:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი თურქეთში
21:30 ფეხბურთის სიახლენი
21:45 ცხენოსნობა. ნაცვის თასი სამსუნგი ფინეთში
22:45 გოლიფი. ევროპული ტური საფრანგეთში
23:15 გოლიფი. PGA ტური აშშ-ში
00:15 აფროსნობა
00:45 ოლიმპური თამაშები. ოლიმპიადების კულტურული პროგრამა
01:00 მულტისპორტი ოთხმხაბათობით
01:15 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
01:45 ფეხბურთი. უეფას ისტორიები
02:15 ახალი ამბები
02:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში
03:00 "ოლიმპური თამაშები". ტელეჟურნალი.

მათი ზნაოზრივი სახე...



იქნებ ბევრ არ ახსოვს, მაგრამ 1960-იან და 1970-იან წლებში საბჭოთა ჟურნალ-გაზეთები ზოგჯერ ბეჭდავდა ამგვარ რუბრიკას, სადაც დასავლური პრესის ამონარიდები ქვეყნდებოდა ხშირად ყოველგვარი დაყრდნობის გარეშე. ვინ იცის, მართლაც დასავლური პრესიდან ამონარიდები იყო ეს მცირე ზომის ამბები, რომელსაც საბჭოთა ადამიანის სიცილი ამ მრისხანება უნა გამოეწვიათ: დახეი, როგორ ლპება კაპიტალიზმი! დღეს ამ უცნაური ტრადიციის ნარჩენს მართლმადიდებლური გაზეთებში თულა შევხვდებით, სადაც გვიამბობენ, როგორ მართავენ მსოფლიოს მასონები, როგორ იმალება შტრიხ-კოდებში ანტიქრისტეს ნიშანი, როგორ ნათლავენ პროსტესტანტები ძაღლებსა და კატებს...

მაგრამ ეს ყველაფერი იქით იყოს და ჩვენ დასავლური პრესიდან სულ სხვა ამონარიდი გვაინტერესებს. XVII საუკუნეში, უფრო ზუსტად კი ინგლისური გაზეთის, "გარდიანის" 1713 წლის № 34-ში გამოქვეყნდა გამოჩენილი ჟურნალისტის რ. სტილის წერილი, სადაც ავტორი წერდა: "თანამედროვე ჯენტლმენში გულისხმობთ ადამიანს, რომელსაც უნარი აქვს ერთიანრად კეთილად მესახუროს საზოგადოებას, დაიცვას მისი ინტერესები და ამავე დროს იყოს მისი სამკაულიც. ჯენტლმენის სულიერი იერსახის თავისებურებებზე ფიქროსას, მიმაჩნია, რომ მას ეკუთვნის ისეთი ღირსება და სიდიადე, რომელიც ადამიანის შესაძლებლობათა მწვერვალს წარმოადგენს. ამას დავუმატებდი ცხად და ცრურწმენათა და პირობითობათაგან თავი სუფთად გონებასა და ფართო განსწავლულობას. ჯენტლმენის გულში რომ ვფიქრობ, ვხედავ, რომ ეს ადამიანი საკუთარ პრინციპებს იცავს, თავისუფალია უზომო ვნებებისაგან, მგრძნობიარეა და გულმონყალებითა და კეთილგანწყობითაა აღსავსე".

რაც შეეხება თავის დაჭერისა და ქვეცის ნესებს, რ. სტილს მიაჩნია, რომ ჯენტლმენი უნდა იყოს მოკრძალებული, მაგრამ არა დამცირებული, გულწრფელი, მაგრამ არა ყველას ნინაშე გახსნილი, ქველმოქმედი მაგრამ არა მლიქვნელი, ისეთი ადამიანი, რომელიც ზომაზე მეტად არც შფოთავს და არც ჭმუნავს ძილვეა. ერთი სიტყვით, ნამდვილი ოქროს მუალად!

მაგრამ ბუნებრივია, რომ საგაზეთო სტატიამ უფრო ავტორისა და საზოგადოების სურვილები წარმოაჩინოს, ვიდრე საქმის რეალური ვითარება. გაცილებით უფრო სერიოზულია საკუთრივ სამეცნიერო ლიტერატურა. მაგალითად, ინგლისელი მოაზროვნე **ჯონ სტიუარტ მილი** თავის ნიგშში "ლოგიკის სისტემა" წერს, რომ თავდაპირველად სიტყვა "ჯენტლმენი" კარგი ოჯახის შვილს ნიშნავდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ამ ტერმინით აღნიშნავენ "ყველა იმ თვისებასა და თანმდევ გარემოებას, რომელიც, ჩვეულებრივ, ამ რანგის ადამიანებში გვხვდება". ამიტომაც ერთ-ერთი მნიშვნელობით "ჯენტლმენი" ნიშნავს ადამიანს, რომელიც "უმრძლად ცხოვრობს" ან ადამიანს, რომელიც "არ ეწევა ფიზიკურ შრომას".

ამიტომაც გამოიშვა, რომ ჯენტლმენთა "ფართო განსწავლულობა" არ უნდა გამხდარიყო მათი პროფესიის საფუძველი და ცხოვრების წყარო. ზომ გასაგებია, საიდან გვხვდება ინგლისურ ლიტერატურაში ამდენი მოყვარული მეცნიერი? სტივენსონის დოქტორი ჰაიდი, უელსის გმირები, იან ფლეინიანის "ბონდიანაში" აღწერილი ბოროტი გენიოსები, რომელთა მსგავსები დღეს ბეტმენისა და სპაიდერმენის სერიებში გვხვდება — ეს ყველანი თავიანთ არსებობას ფართოდ განსწავლულ ჯენტლმენებს უნდა უმადლოდნენ. ასეთივე ვაიჟლ ვერნის კაპიტანი ნემი: აჲ მეცნიერებით გატაცებული ჯენტლმენის სახე იმდენად ნაყოფიერი გამოდგა, რომ მხოლოდ მეტროპოლიის მკვიდრზე კი არ აისახა, კოლონიური ერის შვილში, პრინც დაკარშიც გამოეჩინდა. ორი საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბებულმა მხატვრულმა სახეე თავისი საბოლოო პაროდული დასრულება პპოვა პოლიეუდურ ფილმში "გამოჩენილ ჯენტლმენთა კლუბში".

მაგრამ ამ მხატვრულ სახეს უფრო რეალისტური და სერიოზული გამოვლინებაც აქვს ლიტერატურაში: მაგალითად, ინგლისელი მწერი **ამოსი ოლდოს ჰაქსლის** რომანის, "კონტრაპუნქტის" პერსონაჟი, ლორდე ტენტემუანტი, რომლის პროტოტიპი იყო მწერლის ბაბუა, ტომას ჰაქსლი.

რა თქმა უნდა, ფართო განსწავლულობის ასეთი პოპულარობა და ქმედითობა ბევრ თავისუფალ დროს მოითხოვდა. ფრანგი მკვლევარი **იპოლიტ ტენი** განსაზღვრავს, რომ 1841 წლისთვის ინგლისში 16 მილიონი მცხოვრები იყო, აქედან ერთი მილიონი მსახური. მართალია, განქორწინება აკრძალული იყო, მაგრამ, მაგალითად, დიპლომატის ოჯახში ცოლს მრავალი საყვარელი ჰყავდა, რაც არავის ადარდებდა, ქმარსაც კი. სხვადასხვა მამებისაგან შობილი შვილები კი ერთ ჭერქვეშ იზრდებოდნენ. ასეთი ცხოვრების სტილი საშუალო კლასზეც ახდენდა გავლენას. **ჯ. ტრეველიანი** წერდა, რომ "სამყაროს გარენიდან არ ყოფილა ისეთი ხალხი, რომელსაც შესძლებოდა ცხოვრებით იმ ზომამდე ტკბობა, როგორც ინგლისის საშუალო კლასს". ეს ტკბობა კი მხოლოდ მსახურთა ურიცხვი რაოდენობის წყალობით იყო შესაძლებელი. ი. ტენის გამოთვლით, სამი ადამიანისაგან შედგენილ ოჯახს, სულ მცირე, შვიდი მსახური და სამი ცხენი ესაჭიროებოდა. ოჯახები კი გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი იყვნენ.

თანდათანობით ჯენტლმენის ზნეობრივი სახე მთელი მსოფლიოს არისტოკრატებისთვის იქცა ნიმუშად, თუმცა თვით ინგლისში ამ ეთიკის სანყისები იტლავებდა შევიდა გვიანდელი რენესანსის ეპოქაში. რა თქმა უნდა, ჯენტლმენობის წესები მხოლოდ საკუთარი კლასის ფარგლებში მოქმედებდა. პოლონელი მწერალი, ს. ჟერომსკი წერს: "ბოლოს და ბოლოს ვიცი, ვინც არიან არისტოკრატები. არისტოკრატი მხოლოდ სხვა არისტოკრატთანაა კეთილშობილი. დემოკრატთან საუბარში იგი რაღაც გაურკვეველ რამეს წარმოადგენს".

XIX საუკუნის ბოლოს ინგლისური არისტოკრატის ცხოვრების სტილს ერთი მაგალითი ცხადყოფს. გამოჩენილი ფილოსოფოსის, ბერტრან რასელის დედამ უფროს ვაჟს ახალგაზრდა აღმზრდელი დაუქირავა. ამ ყმანელის ქვლეტის ბოლო სტადია აღმოაჩნდა და გულმონყალების გამო, ქმართან შეთანხმებით, ქალბატონმა იგი თავის სანოლში შეუშვა, თუმცა აქედან დიდი სიამოვნება არ განუცდია...

რას ნიშნავს იყო ჯენტლმენი

— ოჰ, ნიუტონი! — მასპინძლის სამებლად ხაზგასმული აღფრთოვანებით წარმოთქვამს გამოუცდელი უცხოელი.

— დიახ, სერ ისააკ ნიუტონი, — მოკრძალებით, მაგრამ მტკიცედ უსწორებენ მას ჭეშმარიტი ბრიტანელები. მაგრამ ყველა უცხოელი როდი იყო ასე გამოუცდელი. მაგალითად, გასული საუკუნის ცნობილი ფრანგი მწერალი, **ანდრე მორუა**, ინგლისს მცოდნე და თაყვანისმცემელი, წერდა: "ჯენტლმენი, ნამდვილი ჯენტლმენი, ძუძუმწოვართა ევოლუციაში ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი სახეობაა".

აღწერით ეს სახეობა.

XV საუკუნემდე სიტყვით ჯენტლმენი ინგლისში აღნიშნავდნენ ადამიანს, რომელსაც საკუთარი თავის გამოსაკვებად ფიზიკური შრომა არ უხდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ამტკიცებს ენციკლოპედია "ბრიტანიკა" და XII საუკუნის ხალხური ლექსი: "როცა ადამი ხნავდა და ევა რთავდა, ვინ იყო მაშინ ჯენტლმენი?". ერთი სიტყვით, ეს ტერმინი, რომელსაც ლათინური წარმოშობა აქვს და კეთილშობილ კაცს ნიშნავს, მხოლოდ 1414 წლიდან შეინიშნება იურიდიულ პრაქტიკაში და ასე არისტოკრატთა უმცროსი შთამომავლები მოისხენებიან. ამით მემკვიდრეობა არ ეკუთვნოდათ, მაგრამ არც უზრალო თავისუფალ გლეხებთან — იომენტბთან და ფრანკლინებთან — სურდათ გაიგივება. ამიტომაც სახელდებში შეინარჩუნეს ის ერთადერთი, რაც მშობლებისგან ერგოთ — კეთილშობილება.

მოგვიანებით, როცა ინგლისურ საზოგადოებაში ჯერ საშუალო კლასმა გაიყარა სოციალური პოზიცია, მერე კი ნამდვილი ბურჟუაზია ჩამოყალიბდა, "რობინზონ კრუზო" ავტორმა, **დანიელ დეფომ** წარმოადგინა ჯენტლმენთა ორ ტიპად დაყოფა: დაბადებით და აღზრდით ჯენტლმენები. ახალ დროში ამ უკანასკნელი ეკუთვნოდა უპირატესობა. თუმცა დანიელ დეფო პირელი არ ყოფილა: ჯერ კიდევ XIV საუკუნეში პოეტები **ჯეფრი ჩოსერი** თავის "კენტერბერიულ მოთხრობებში" აცხადებდა, რომ პირადი, შეძენილი ღირსებები არისტოკრატიულ წარმოშობაზე ძვირად ფასობს.

1531 წელს ინგლისში გაჩნდა ცნობილი ავტორის, **ტომას ელიოტის** ნიგნი "მოძღვარი", რომელიც მან მეფე ჰენრი VIII-ს მიუძღვნა. ნიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში აღწერილია იმ ადამიანის სავალდებულო თვისებები, რომელიც მაღალ თანამდებობას უმინებს. ასეთი პიროვნება, ბუნებრივია, ჯენტლმენი უნდა იყოს. მეორე ნაწილში აღწერილია თვისებები, რომლებიც საკუთრივ მეფეს მოეთხოვება.

საინტერესოა ჯენტლმენის აღწერა. ადრეულ ბავშვობაში მასზე, რა თქმა უნდა, საგულდაგულოდ შერჩეული ძელები უნდა ზრუნავდნენ. მაგრამ ქვიდე წლის ასაკიდან ბავშვი აუცილებლად მამაკაცი აღმზრდელის კომპეტენციაში უნდა გადადიოდაც, რათა წრეგადასული ვენებიანობა არ გაერყნოთარდეს. სწავლა ლათინურ ენით უნდა დაიწყოს: ლათინურად ჯენტლმენი აუცილებლად უნდა საზოგოდეს და წერდეს. ბერძნული კი მხოლოდ კითხვა მოეთხოვება. ელიოტი გვიჩჩევს, რომ აღსაზრდელი გრამატიკით არ გადატვიტრთით: მთავარია ტექსტის სიღამზის მგერნება გაუმწნდეს და მისი გაგებისა და შეფასების უნარი. მომავალი ჯენტლმენი აღმზრდელმა ხშირად არ უნდა დასავჯოს, მის გასაწნრთნელიდ უფრო ნახალისები მეთიდი ვარგა.

14 წლის ჯენტლმენს უკვე რიტორიკაში ამეცადინებენ. აქაც ძირითადად ყურადღება უნარ-ჩვევებს ქცევაზე: ჯენტლმენმა თავისი მტყეყლებლის თითქმის ავტომატური კონტროლი და ზეპირი მსჯელობის დახვეწილი აგება უნდა შეძლოს: მას ზომ თემა ან ლორდათა პალატაში მოუწევს მოღვესეობა. იქ კი თავის შერცხვენა არ ეგვებს. ამიტომაც ასწავლიან ეკონომიკისა და პოლიტიკის საფუძელებს, შემდეგ კი სანარიალსა და ფილოსოფიას.

ნასაკითხ ავტორთა სიაში რომელი მწერლები ქარბობენ. ყოველი შესასწავლი თემა აუცილებლად უნდა იქნეს გამყარებული ანტიკური ისტორიის რომელიმე მაგალითით. ერთი სიტყვით, XVI საუკუნის ინგლისელი ჯენტლმენი დაახლოებით ისევე იყო აღზრდილი და განათლებული, როგორც **ალექსანდრე პუშკინის** პერსონაჟი, ეგველი ონგენი.

მაგრამ სწავლის გარდა დასვენებაც ზომ საჭიროა! ძილი არაუმეტეს რვა საათისა, — გვიჩჩევს ტომას ელიოტი. დღის თავისუფალი საათები მუსიკას, ხატვას ან ძერწვას ეძღვნება, მაგრამ არც ერთს არ უნდა დაეახარჯოთ ძალიან დიდი ძალ-ღონე. ჯენტლმენმა აუცილებლად უნდა იცოდეს ცეკვა, თანაც ყოველ საცეკვაო ილთის ისე უნდა ასწავლიდნენ, რომ ამან ხასიათის რაღაც განსაკუთრებული თვისება განუვითაროს. რაც შეეხება ჯრითის, იმ დროს ეს სპორტი კი არა, სასიცოცხლო აუცილებლობა იყო. მეორე ადგილი კი ცურვასა და ნადირობას ეჭირა. თამაშებში კი უპირატესობას ელიოტი ჭადრაკს ანიჭებს, რადგანაც "ზარი ეშმაკის მოგონილია".

ჭეშმარიტი ჯენტლმენობის დაბეყოლებად ელიოტი სამ რამეს ასახელებს: სიამაყეს, სიძუნესა და დაუდევრობას. სიამაყის გამო მშობლე-



მგელზე და მელაზე ნადირობა - გაურკვევლელი ჯენტლმენური გასართობი

ბი ამრეზით უყურებენ სწავლა-განათლებას და მას დაბალი წოდების წარმომადგენელთა მოვალეობად მიიჩნევენ. სიძუნე მათ არ აძლევთ საშუალებას, ღირსეული აღმზრდელი დაუქირაონ თავიანთ მემკიდრეს, რადგან უფრო განათლების ხარისხზე კი არა, დაბალ ხარჯებზე ფიქრობენ. ავტორი გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მზარეულის შერჩევას ხშირად უფრო მეტ გულსყუარს ანდომებენ, ხოლო პედაგოგს ძალიან დაუდევრად ეყურებიან.

ნიგნის მეორე ნაწილში ტომას ელიოტი აღიარებს, რომ მეფეებსაც იგივე პირადი თვისებები მოეთხოვება, რაც ჯენტლმენს. განსაკუთრებით ღირებულია მისი შემდეგი აზრი: **"რამდენი უბედურება დაატყდა თავს მეფეებსა და მათ სახელმწიფოებს იმის გამო, რომ სიტყვის თავისუფლებას ზღუდავდნენ"**. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ ეს XVI საუკუნის ინგლისია.

რაც შეეხება მისაბამ იდეალებს, რომლებსაც ჯენტლმენი უნდა ირჩევდეს, მათ ტომას ელიოტი საქმიოდ დიდ დროს უთმობს და აქცენტი იდეალთან მინაცნ ერთობაზე გადგაქვს. მართლაც, მხოლოდ სიცოცხის იმსახურებენ ისინი, ვინც საგანგებო ტანსაცმელს უკვეთავს, რათა პლატონს მხარჭეიანობაში დაემგავსოს, ან ისინი, ვინც კისრის თავისებური მონრილობით ცდილობს ალექსანდრე მაკედონელის მიბაძვას.

საინტერესოა, რომ XVI საუკუნის ბოლოს მოღვაწე ავტორი, **ტომას სმიტი** თავის ტრაქტატში "ინგლისის სამეფოსათვის" წერს, რომ რაც მეტი ჯენტლმენი იქნება, მით უკეთესია, რადგან ასე მეტი ადამიანი აიღებს თავის თავზე ჯენტლმენის საზოგადოებრივ მოვალეობებს. როგორც ვხედავთ, სულ უფრო მკვიდრდება აზრი, რომ კეთილშობილება ადამიანის თანდაყოლილი კი არა, შეძენილი თვისებაა.

ამასვე ამტკიცებს სმიტზე ნახევარი საუკუნით გვიან მოღვაწე ავტორი **ჰენრი პიჩემი**, რომელიც ხაზს უსვამს, რომ პოროციუსი ფლეტაზე დამკვრელის ვაჟი იყო, ვირგლიუსი კი მეთუნიისა. ასევე ამბობს ავტორი, რომ თუ აზნაურობის მიღება შეიძლება პირადი დამსახურების წყალობით, მისი დაკარგვაც უნდა იყოს შესაძლებელი მანკიერებათა მიზეზით. თან კეთილშობილება და სიღარიბე სულაც არაა ერთმანეთის გამომრიცხავი.

ამის შემდეგ პიჩემი კონკრეტულ სოციალურ ანალიზზე გადადის: ის ამბობს, რომ ადვოკატები და ექიმები შეიძლება მივიჩნიოთ ჯენტლმენებად, ოღონდ არა ქირურგები — ქირურგებსა და დანტისტებს ჯერ კიდევ XIX საუკუნეში არ თვლიდნენ ჯენტლმენებად, რადგან ისინი ხელით მუშაობენ. ასევე პრობლემურად მიჩნევენ პიჩემი ვაჭართა საკითხსაც: მისთვის ცნობილია, რომ უდიდესი ავტორიტეტი, არისტოტელე არ სწყალობდა კომენტსანტებს, მაგრამ დროთა განმავლობაში ხომ ისიც აშკარა გახდა, რომ ადამიანები ყველა-

ფერის საკუთარ სამშობლოში ვერ შოულობენ. ასე რომ, ვაჭრებს თუ ჯენტლმენებად ვერ მივიჩნევთ, ის მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ სამშობლოს კეთილისმყოფელნი არიან. როგორ არ უნდა დაეფასათ XVII საუკუნის ეს მოაზროვნე, რომელიც დღევანდელი ნაციონალისტების მსგავსად არ გაპკივის, მხოლოდ ეროვნული საქონლით უნდა ვიცხოვროთ და დანარჩენი კი გლობალიზაციის ბოროტებააო.

ერთი სიტყვით, ჯენტლმენის ცნებად დროთა განმავლობაში განუხრელად განიცდის დემოკრატიზაციას. ოქსფორდის დიდი ლექსიკონის ან ბრიტანული ენციკლოპედიის სხვადასხვა გამოცემებში ამ ტერმინის განმარტება თანდათანობით იცვლება: უფრო ძველ ვერსიებში ლაპარაკია არისტოკრატიულ წარმოშობაზე, გენეალოგიურ ხეზე, გერბის ტარების უფლებაზე; უფრო მოგვიანებულში იქნება მისი მომსახურებით იქნებიან დაკავებულინი. დღეს უკვე ეს ატრიბუტიც მოიშალა და უნივერსიტეტის ლექტორი, რომელიც იწყებს ლექციას სიტყვებით — ladies and gentlemen! — სულაც არ გულისხმობს სოციალურ კლასებს.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ხელით შრომის ტაბუ ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში მოქმედებდა. უფრო ადრე დაირღვა ტაბუ ვაჭრობასა და ექიმო ბიზნესზე: ეს ეკონომიკურმა აუცილებლობამ გამოიწვია, რადგან მემკიდრეობა მხოლოდ უფროს ვაჟს ეკუთვნოდა. უმცროსები აუცილებლად უნდა მოეყიდათ ხელი ნივნებისთვის ან მიეღოთ განათლებულინი იყვნენ, ესწავლათ!

დროთა განმავლობაში სულ უფრო იზრდება ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობა. უმნიშვნელოვანეს უნივერსიტეტებში პროფესორის ადგილზე კანდიდატის შერჩევა საქმიოდ იყო დამოკიდებული მის სპორტულ კვალიფიკაციაზე. უზრალო ფიზიკური აღზრდა თანდათანობით სამოყვარული სპორტიმ გადაიზარდა, ხოლო ძველი საბერძნეთის ინდივიდუალური ათლეტიკიზმი ინგლისურმა გუნდურმა თამაშობებმა შეცვალეს: ჯენტლმენი ზომ, უპირველეს ყოვლისა, ისაა, ვინც თავის სოციალურ მოვალეობას ასრულებს, ესე იგი, თავს გრძნობს კლასობრივ კოლექტივში ინტეგრირებულად. გუნდური სპორტი კი ფიზიკურის გარდა მოქალაქობრივ თვისებებს ავითარებდა.

მაგრამ კოლექტივიზმის სულისკვეთება მაინც საკუთარი კლასის თვისებებში იყო საკეტილი. გამოჩე-


ნილი ინგლისელი მწერალი **უილიამ თეკერი** წერდა: "ეს ყმანვილი ლორდი, ამიტომაც სამეცნიერო ხარისხს ორ წელიწადში იღებს, მაშინ როცა სხვები მას შვიდი წელი ელოდებიან. მას არ სჭირდება გამოცდის ჩაბარება, იმიტომ რომ ლორდია". ეს აზრები მან მეტად საგულისხმო სათაურის ნაწარმოებში გამოთქვა, რომელსაც "სნობთა წიგნი" ეწოდება. როგორც ვხედავთ, ჯენტლმენობის დემოკრატიზაცია დიდი ხნის განმავლობაში მაინც ვერ სორციელდებოდა პრაქტიკულ დონეზე.

საბოლოოდ, საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ჯენტლმენის ერთგვარი ფსიქოლოგიური, ეთიკური და სოციალური პორტრეტი. უპირველეს ყოვლისა ესაა სიმშვიდე და თავდაჯერებულობა, უფრო მეტიც, ღვთაებრივი თავდაჯერებულობა (ინგლისურად divine assurance). ამას მოსდევს საკუთარი ემოციების ფლობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მმართველობითი მოღვაწეობისთვის, სადაც ყოველგვარი აფექტაცია და თავმუკუყავებლობა მხოლოდ აბრკოლებს მიზნის მიღწევას. ჯენტლმენი პატიოსანია და გულმართალია, მაგრამ უაზროდ და საჭიროების გარეშე სიმართლის ლაპარაკს არ დაიწყებს. ჯენტლმენი ენდობა სხვებს და სხვებშიც ნდობას აღძრავს. ამის გამო სასამართლოში მას ფიცისგან ათავისუფლებს, რომ შეურაცხყოფა არ მიაყენონ უნდობლობით. ჯენტლმენს ახასიათებს ლაკონურობა და ზედმეტად ემოციური შეფასებებისაგან თავის არიდება: "ურიგო არაა" — აი, მისი უმაღლესი შექება.

საინტერესოა, რომ მიუხედავად იმ დადებითი განცხობისა, რომელსაც თვისებათა ეს ჩამოთვლა იწვევს, ჯენტლმენური ეთიკა არაა დამყარებული ქრისტიანულ იდეალებზე. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მას საფუძვლად უდევს შეჯიბრის სულისკვეთება, თავის გამოჩენის სურვილი, რაც ქრისტიანული სიმდაბლის საწინააღმდეგოა. ფრანგი მოაზროვნე, **მონტესკიე** წერდა, რომ ჯენტლმენის იდეალი სათნოება კი არა, ღირსებაა. მთავარი სულის სრულყოფა კი არაა, არამედ "პატიოსანი თამაში". ამიტომ ჯენტლმენი არასოდეს ისარგებლებს მეტოქის აშკარად სუსტი ადგილებით, ოღონდ ამას ქრისტიანული გულმონყალებით კი არ ჩაიედებს, არამედ იმიტომ, რომ ეთაკილება. ზუსტად იმავე მიზეზით არასოდეს ჩაადგებს ანკესს მდინარეში მზის ჩასვლისას და სანადიროდ წასული არასოდეს ესერის მჯდომარე ფრინველს.

ანდრე მორუა წერდა: "საფრთხის უგულვებეყოფა, წინააღმდეგობის განევა ინგლისელთა თვალში სულაც არაა სიზამაცე. ეს კარგი აღზრდის გამოვლენაა. პატარა ბულდოგზე, რომელიც უშეშებელ ნაგავს არ ეპუება, ისინი ამოიბენ: აჰა, ჭეშმარიტი ჯენტლმენი!".

ნოდარ ლადარია
ლილა ბეზარაშვილი



ოქსფორდის ტრინიტი-კოლეჯი - მთავარი ჯენტლმენსაშენი



საქართველოს ბანკის
თბილისის ჯაზფესტივალი

VIII TBILISI INTERNATIONAL JAZZ FESTIVAL



John McLaughlin



Bobby McFerrin



Chris Botti



Michael Franks

26 ივნისი 2004 - დიდი საკონსერტო დარბაზი
20:00 ჯონ მაქლაგლინის „შაქტი“ (ინგლისი/ინდოეთი)

27 ივნისი 2003 - ქუს ტბა
17:00 თბილისის მუნიციპალიტეტის საკონცერტო
 ორკესტრი და მეგობრები (საქართველო/რუსეთი)

29 ივნისი 2004 - დიდი საკონსერტო დარბაზი
20:00 ქრის ბოტი და მისი ჯგუფი (აშშ)
22:00 ბობი მაქფერინი (აშშ)

30 ივნისი 2004 - დიდი საკონსერტო დარბაზი
20:00 მაიკლ ფრენქსი და მისი ჯგუფი (აშშ)

1 ივლისი 2004 - აჭარა შიუზიჩ პოლი
20:00 მაიკლ ფრენქსი და მისი ჯგუფი (აშშ)

ტელ.: + 995 32 954001

www.easternpromotion.com

